გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№29 (1670) 9 — 15 აგვისტო ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

გაზეთი „ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს შოვში, მეწყერის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს, ასევე, სრულიად საქართველოს!

აგვისტოს ომიდან შოვის ტრაგედიამდე

აგვისტოს ომიდან შოვის ტრაგედიამდე

ნინო დოლიძე

რა რაპორტებს უგზავნიდა 2008 წლის აგვისტოში აშშ-ის ელჩი თეთრ სახლს და რა წერია „ვიკილიქსის“ მასალებში რუსულ ოკუპაციაზე

აგვისტო საქართველოსთვის ტრაგიკული თვეა. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში, თითქმის ყველა უბედურება თავს სწორედ აგვისტოში დაგვატყდა – 2008 წლის რუსული ოკუპაცია, წლევანდელი შოვის ჯოჯოხეთური უბედურება... ჰო, აგვისტოს საქართველოსთვის სისხლი და ცრემლები მოაქვს. არადა, წესით, მარიამობისთვე სხვანაირი უნდა იყოს... ამბობენ, ღმერთსაც საუკეთესოები უყვარსო. ისინიც, მათ შორის, ბავშვებიც, რომლებიც შოვის სტიქიას შეეწირნენ, საუკეთესოები იყვნენ... ახლა იქ არიან, ზევით, უფალთან... ის ბიჭებიც ღმერთთან არიან, 2008-ში, საქართველოს რუსი აგრესორებისგან რომ იცავდნენ... თუკი აქამდე მხოლოდ ომის გმირებს ვიხსენებდით, ახლა, ყოველ აგვისტოს, შოვში დაღუპულების სულებისთვისაც ვილოცებთ... ჰო, თანამედროვე საქართველოს ისტორია ისევ სისხლით იწერება... 15 წლის წინ, ზუსტად ამ დროს, აქვე, სამაჩაბლოში, ქართველებს რუსები უმოწყალოდ ჩეხავდნენ... ჩვენი ბიჭები სამშობლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ და მტერს ზურგს არ ანახებდნენ, თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად, ისეთი ქართველები მაინც მოიძებნებიან, რომლებიც ირწმუნებიან, გინდა თუ არა, რუსეთს „ბაბაია“ უნდა დავუძახოთ და ოკუპანტობის მიუხედავად, მასთან ვასლური მოლაპარაკებებიც გავმართოთო. უფრო მეტიც, აგვისტოს ომში საქართველოს თავის დროზე – არც მეტი, არც ნაკლები – ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, სალომე ზურაბიშვილიც ადანაშაულებდა.

აგვისტოს ომზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. ალბათ, კიდევ არაერთხელ ითქმება და დაიწერება, შესაბამისად, ის მოსაზრებაც აქტუალური იქნება, რომ საკუთარი ქვეყნის ომის დაწყებაში დადანაშაულება, მოღალატეობა თუ არა, მინიმუმ, მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა.

ისე, საინტერესოა, როცა პირსისხლიანი მტერი შენს მიწა-წყალზე, შენსავე მოსახლეობას ჟლეტს, როგორ უნდა მოიქცე – ხელი არ უნდა გაანძრიო, თუ ვარდები ესროლო და ფიანდაზად გაეგო?

სხვათა შორის, აგვისტოს ომიდან 15 წლის შემდეგ, ქართულმა მხარემ ოკუპანტს ფიანდაზი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაუგო ანუ 2019 წლის 20 ივნისს, საქართველოში ჩამოსულ გავრილოვს, როგორც პროტოკოლიდან გახდა ცნობილი, სახელმწიფო ცერემონიალების სასახლეში ანუ პრეზიდენტის ყოფილ რეზიდენციაში, დიახ, ფიანდაზები გაუშალეს.

ჰოდა, მერე გაუკვირდათ, ხალხი ქუჩაში რატომ გამოვიდა და ოკუპანტი ქვეყნის დუმის დეპუტატის საქართველოში ჩამოსვლა რატომ გააპროტესტაო?!

ზოგადად, გავრილოვის ფაქტორი ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ზუსტად იმიტომ, რომ ოკუპანტი ქვეყნის პოლიტიკური ვერტიკალის წარმადგენლებს ჩვენს სამშობლოში „პარპაშის“ საშუალება აღარასოდეს მიეცეთ, აგვისტოს ომის ქრონოლოგიას თვალი გადავავლოთ და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, კრემლმა რა დღეები გამოგვატარა!

15 წლის წინ, რუსულ აგრესიას 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 169 სამხედრო, 14 პოლიციელი და 3 ჟურნალისტი ემსხვერპლა, დაიჭრა 1 747 ადამიანი, დავკარგეთ კოდორის ხეობა და შიდა ქართლის ათეულობით სოფელი.

აქედან გამომდინარე, 150 000 ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა. აქედან, 30 ათასი დღესაც დევნილობაშია...

ქრონოლოგია მოწმობს, რომ აგვისტოს ომი რუსული აგრესიის, ასე ვთქვათ, გვირგვინი იყო, თორემ ყველაფერმა სათავე გაცილებით ადრე, კერძოდ, 2008 წლის დასაწყისში აიღო ანუ 2008 წლის იანვრიდან მოყოლებული, ცხინვალისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმები, რაღა თქმა უნდა, მოსკოვის დავალებითა და ხელშეწყობით, ვითარების ესკალაციას პერიოდულად ცდილობდნენ.

ასე, მაგალითად, აპრილის დასაწყისში, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე, მართალია, მაპ-ი არ მოგვცეს, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ითქვა, საქართველო ალიანსის წევრი აუცილებლად გახდებაო.

ამან კრემლს წონასწორობა დააკარგვინა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ სერგეი ლავროვი დაიმუქრა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი არ გახდესო. შემდეგ კი, თავად ვლადიმერ პუტინი გამოჩნდა არენაზე და სიტყვა-სიტყვით განაცხადა:

„რუსეთს, ნატო-ს პოზიციის საპასუხოდ, საშინაო მონახაზები აქვს!“

ეს მონახაზები კი, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ის იყო, რომ 31 მაისს, კრემლმა ოკუპირებულ აფხაზეთში, რკინიგზის ხაზის აღდგენის მოტივით, სარკინიგზო ჯარები შეიყვანა.

პარალელურად, გამწვავდა ვითარება ცხინვალის რეგიონში – ქართული სოფლები თითქმის ყოველდღიურად იბომბებოდა.

2008 წლის 30 ივლისი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის, შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების საფრთხე რეალურია.

ამასთან, ომის დაწყებამდე, დაახლოებით, 20 დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოსურმა მოსახლობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დატოვა.

მედია იმასაც იუწყებოდა, რომ ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ სახლებს რუსეთიდან გამოგზავნილი ავტობუსებით ტოვებდა.

ეს კი იმის პირდაპირი მინიშნება და ნიშანი იყო, რომ კრემლი ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციისთვის ემზადებოდა.

2008 წლის 3-4 აგვისტო – ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ქართული სოფლები ინტენსიურად იბომბება.

ასევე, იბომბება ფრონეს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები.

ამას გარდა, რამდენიმე ტერაქტიც ხდება, კერძოდ, დიმიტრი სანაკოევისა და პოლიციის ავტომანქანებს აფეთქებენ.

ამ ერთთვიანმა დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წლის 7 აგვისტოს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოსი სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან დაწყებული საარტილერიო სროლის შედეგად, ორი ქართველი მშვიდობისდამცველი იჭრება.

დაჭრილი სამხედროები საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოინახულა, მოგვიანებით კი, თბილისში დაბრუნებულმა, საგანგებო განცხადება გააკეთა:

„მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა და ვაღიარო, რომ რამდენიმე საათის წინ, გავეცი ძალიან მტკივნეული ბრძანება, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, რომ არც ერთმა ქართულმა შენაერთმა არ გახსნას საპასუხო ცეცხლი, ძალიან ინტენსიური დაბომბვის შემთხვევაშიც“.

ისე, გამოხდება ხანი და სააკაშვილი აღიარებს, რომ ამ პირობის დაცვა-შესრულება ვერ შეძლო ანუ კონფლიქტის ზონაში შექმნილმა ვითარებამ და სადაზვერვო ინფორმაციამ ცხადი გახადა, რომ როკის გვირაბიდან რუსეთის რეგულარულმა ნაწილებმა შემოსვლა დაიწყეს.

საერთო ჯამში, 7 აგვისტოს, ღამე, საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლითა და ფსოუს საზღვრიდან, 20 ათასზე მეტი რუსი სამხედრო შემოვიდა.

იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ასევე, საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოება, პრეზიდენტმა თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ ბრძანება გასცა.

არმიას საპასუხო ცეცხლით უნდა ჩაეხშო მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები, რის შემდეგაც ცხინვალში ქვეითი ნაწილები შევიდოდნენ.

8 აგვისტოს, დილის 10.00 საათზე, თბილისის მერი, გიგი უგულავა, მთავრობის სახელით, გორში საგანგებო განცხადებას აკეთებს:

„იცით, რომ ამ დროისათვის ცხინვალის, დაახლოებით, 70 პროცენტი – ვგულისხმობ, თვითონ ქალაქსა და მის შემოგარენ სოფლებს – დაკავებულია ჩვენი ჯარების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“.

უგულავას ამ განცხადებიდან ზუსტად 2 საათის შემდეგ, ვითარება დრამატულად იცვალება ანუ სპეციალური პუნქტისა და კორიდორის შექმნის წინადადებას რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოკუპაციით უპასუხა და პირველ ეტაპზე, საქმეში სამხედრო ავიაცია ჩართო, რომელმაც ცხინვალის მისადგომებთან, ქართველი ჯარისკაცების პოზიციებზე მასირებული იერიში მიიტანა.

ქართულმა არმიამ დიდი დანაკარგი განიცადა, მაგრამ ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი მოგვიანებით იტყვის, რომ 8 აგვისტოს, ღამის 22.00 საათზე, ქართულმა მხარემ ცხინვალის დაკავება შეძლო:

„ამ დროისათვის, ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ ქალაქ ცხინვალს. ცხინვალი მთლიანად გაწმენდილია ძალადობრივი ელემენტებისაგან და ბანდფორმირებებისაგან. ქალაქი ძალიან დაზარალებულია ორმხრივი ცეცხლის შედეგად ისევე, როგორც დღევანდელი დღის ინტენსიური დაბომბვის შედეგად, რუსეთის ავიაციის მიერ“.

2008 წლის 9 აგვისტო, დილა – რუსეთს საავიაციო იერიში გორზე მიაქვს. იბომბება ქალაქში არსებული სატანკო ნაწილი და მის ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლები. დაბომბვა ხდება ორჯერ, 15 წუთიანი ინტერვალით.

დასახლებული პუნქტი ბრძოლის წინა ხაზს ემსგავსება – იქაურობა სავსეა დახოცილებითა და დაჭრილებით.

პარალელურად, ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს ცხინვალის მისადგომებთან – საქართველოს არმიის მეორე ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ჯგუფი რუსეთის 58-ე არმიასთან სასტიკ ბრძოლაში ერთვება.

მერე, დრო რომ გავა, ერთ-ერთი ჟურნალისტი ამ ბრძოლას ასე გაიხსენებს:

„ეს იყო საცეცხლე კონტაქტი 5, 10 და 20 მეტრის სიახლოვეში. ჯარისკაცები იბრძოდნენ ხელჩართულნი, დანების გამოყენებით!“

ქართული არტილერიისა და ტანკისტების თავდაუზოგავმა ბრძოლამ რუსეთის 58-ე არმია, სამწუხაროდ, ვერ შეაჩერა.

დასასრული მე-3 გვერდზე

აგვისტოს ომიდან შოვის ტრაგედიამდე

მე-2 გვერდიდან

ცხინვალის პარალელურად, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის საარმიო დაჯგუფების ნაწილებმა შეტევა აფხაზეთის მიმართულებითაც დაიწყეს – მთლიანად იკავებენ ფოთი-ზუგდიდი-სენაკის მიმართულებას და ცდილობდნენ, კოდორის ხეობის დაჯგუფებას, რომელმაც მანამდე სტრატეგიული ხეობიდან მანევრით უკან დახევა მოახერხა, ზურგში მოექცნენ.

2008 წლის 10 აგვისტო – რუსული ავიაცია სოფლების მასიურ დაბომბვას იწყებს და, როგორც მოგვიანებით გახდება ცნობილი, სხვა აკრძალულ იარაღთან ერთად, ე.წ. ვაკუუმურ, მოცულობით ბომბებსაც იყენებს. ასევე, რუსული ავიაცია ქართულ სოფლებს 500 კგ.-იან ჭურვებსაც ესვრის.

ცხინვალის რეგიონის სოფლების გარდა, რუსულ ავიაციას საჰაერო იერიში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებულ სამხედრო ბაზებსა და აეროდრომებზეც მიაქვს.

კერძოდ, იბომბება ვაზიანის ბაზა, თბილისის საავიაციო ქარხანა, ქვიშიანის მთაზე მდგარი რადარი, ფოთის პორტი, სენაკისა და მარნეულის სამხედრო ბაზები.

საბოლოო ჯამში, რუსეთის 58-ე არმია, ცხინვალისა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან ერთად, ახალგორის რაიონს, კოდორის ხეობას, ზუგდიდს, გორის რაიონის რამდენიმე სოფელსა და საჩხერის რაიონის სოფელ პერევსაც იკავებს.

რუსეთი ცეცხლს მხოლოდ საფრანგეთის იმდორინდელი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ჩარევის შემდეგ წყვეტს ანუ 12 აგვისტოს, სარკოზი 6-პუნქტიან სამშვიდობო გეგმას ჯერ ოფიციალურ მოსკოვთან, შემდეგ კი ოფიციალურ თბილისთან ათანხმებს.

ისე, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი მედვედევი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პრეზიდენტია (სინამდვილეში, ის პუტინის მითითებების უსიტყვო შემსრულებელი გახლდათ), ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებას გამოსცემს, რუსეთის საავიაციო ძალების მიერ საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვა არ წყდება.

26 აგვისტოს, მედვედევი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანება გამოსცემს.

სხვათა შორის, აგვისტოს ომის ვნებები მეტ-ნაკლებად რომ ჩაცხრება, პოლიტიკურ კულუარებში ხმა გავარდება, რომ რუსი ოკუპანტების ერთ-ერთი სამიზნე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ იყო.

ასევე, მოგვიანებით, მსოფლიოში სკანდალურად ცნობილი საიტი „ვიკილიქსი“, აგვისტოს ომზე, საქართველოში აშშ-ის იმჟამინდელი ელჩის, ჯონ ტეფტის მიერ სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ საიდუმლო წერილებს გამოაქვეყნებს, რომელი წერილებიც 2008 წლის 7, 8, 9 და 12 აგვისტოთია დათარიღებული.

„8 აგვისტოს შედგა პრეზიდენტ სააკაშვილის საუბარი ელჩთან და, ასევე, გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, ეკა ტყეშელაშვილის ბრიფინგი დიპკორპუსისთვის, სადაც გაკეთდა განცხადება, რომ საქართველო ახლა აკონტროლებს ცხინვალსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დიდ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები გრძელდება ჩრდილოეთით, ჯავის მიდამოებში. მათივე ცნობით, რუსეთის თვითმფრინავები ბომბავენ რამდენიმე სამიზნეს საქართველოში, კონფლიქტის ზონის გარეთ, გორის ცენტრში, ორ ადგილას და ქარელის პოლიციასთან. არსებობს საქართველოს განცხადება, რომ ჩამოგდებულია რუსული თვითმფრინავი.

სააკაშვილმა გამოაცხადა ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება 8 აგვისტოს, 19:00 საათამდე. მან მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ „დაეხმარონ რუსული აგრესიის მოსაგერიებლად“. მანვე თქვა, რომ რუსმა სამშვიდობოებმა მოაწყვეს პროვოცირება.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამ ეტაპზე, ქართველები აკონტროლებენ 75 პროცენტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის, ცხინვალსა და მის გარშემო 11 სოფელს. ჟურნალისტები აცხადებენ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მიიწევენ როკის გვირაბისკენ, რაც ჩვენთვის არ არის ნათელი. ამავდროულად, საქართველოს ეროვნულმა უშიშროების საბჭომ მოითხოვა 1000 მებრძოლის ერაყიდან საქართველოში დაბრუნება, 72 საათის განმავლობაში.

სააკაშვილმა უთხრა ელჩს, რომ ის იმყოფებოდა გორში, ქალაქის ცენტრში ბომბის დაცემისას. ბრძოლა – შეიარაღებული დაპირისპირება ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაიწყო 7 აგვისტოს, ღამით, ოთხი მოკლე დიაპაზონის ბალისტიკური რაკეტის გასროლით“, – ნათქვამია ჯონ ტეფტის რაპორტში, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოთია დათარიღებული.

აძძ-ძი გაგზავნილი და რომელიც ძოგვიანებით „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა, ვკითხულობთ:

„თავდაცვის სამინისტროს ბაზები, აეროპორტები და ფოთის პორტი დაიბომბა რუსული თვითმფრიავებით. დაბომბვა გრძელდებოდა 9 აგვისტოს დილითაც, სამოქალაქო სამიზნეებზე, ქალაქ გორში. არის მსხვერპლი.

ნათელია, რომ დაღუპული ადამიანების რიცხვი იზრდება. არსებობს ათობით დაღუპული სენაკსა და ფოთში.

ევაკუირებულია ზოგიერთი სამთავრობო შენობა თბილისში. დაბომბვამ გამოიწვია შიში და პანიკა ქართულ მოსახლეობაში. დაბომბვა გაგრძელდა საარტილერიო საშუალებებიდან ცხინვალის მახლობლად.

აფხაზეთის ხელისუფლებამ სთხოვა ეუთო-ს, დაუყოვნებლივ გაიყვანოს საკუთარი დამკვირვებლები კოდორის ხეობიდან.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ელჩთან, დილით, საუბრისას თქვა, რომ რუსებს სურთ საქართველოს სრულად აღება და ახალი რეჟიმის დამყარება. სააკაშვილი შიშობს, რომ რუსეთი არასოდეს დასთანხმდება ცეცხლის შეწყვეტაზე. სააკაშვილსა და საქართველოს ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მთელი ეს სამხედრო ოპერაცია პუტინს სურს რეჟიმის შესაცვლელად. სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ძალები თავს დაესხნენ ცხინვალს და ქართული ჯარები ეწინააღმდეგებიან მათ.

ეუთო-ს დამკვირვებლების თქმით, 8 აგვისტოს, 15.00 საათისთვის, ქართულმა ჯარმა დატოვა ცხინვალი. რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილემ, რუსლან აბაშიძემ განუცხადა ელჩს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარება იგივეა, რაც 8 აგვისტოს იყო. მას სჯერა, რომ ქართული ძალები აკონტროლებენ ცხინვალს და მიმდებარე სოფლებს... საქართველოს ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ვერ ან არ მოხერხდა“.

ჯონ ტეფტის რაპორტი, 12 აგვისტო, 2008 წელი: **„თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელიამ განაცხადა, რომ საქართველოს ჯარი მოქმედებს პროპორციული საფრთხის მიხედვით. საგარეო საქმეთა მინისტრის, ეკა ტყეშელაშვილის თქმით, იაკობაშვილსა და ჩოჩიევს შორის შეხვედრა ჩავარდა კოკოითის მიზეზით, რომელმაც „დაბლოკა“ ეს შეხვედრა“.**

„ვიკილიქსის“ ეს დოკუმენტაცია აბსოლუტურად სარწმუნოა და მის ავთენტურობას ეჭვქვეშ არც აშშ აყენებს და არც – ევროპული ქვეყნების მთავრობები. 2008 წლის 6, 7 და 8 აგვისტოს ტეფტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას საიდუმლო წერილებს უგზავნიდა, რომლებშიც საუბარი ძალიან მნიშვნელოვან დეტალებზეა.

„ხაზგასმით ვაცხადებ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომი რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე დღეს დაიწყო!

შესაბამისად, რუსული მხარის მიერ გავრცელებული თეზა, ელჩოსა და, ეტიც, აძძ-ის ძაძიხდელი პრეზიდენტის, ბუძის უშუალო წაქეზებით დაიწყო, ტყუილია!

„ვიკილიქსის“ დოკუმენტაცია საპირისპიროს ამტკიცებს და ტეფტის მიერ თბილისიდან ვაშინგტონში გაგზავნილი წერილებიდან ნათლად ჩანს შეშფოთება იმის გამო, რაც საქართველოში იმ დროს ხდებოდა“, – აცხადებს უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, კონსტანტინე ფორჩხიძე.

მისივე თქმით, აგვისტოს ხუთდღიანი ომი ის წყალგამყოფი იყო, რომლითაც მსოფლიოს ის წესრიგი დაირღვა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ე.წ. იალტის კონფერენციაზე დადგინდა.

„რუსეთის ფედერაციის მიერ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარებით, წითელი ხაზები იქნა გადაკვეთილი, რასაც რუსეთის მხრიდან უკვე ყირიმის მიერთება მოჰყვა.

ისე, პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ აგვისტოს ომი მსოფლიოს გავლენიანმა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს, მაგრამ ყველა ვერსია იმ გადასახედიდან უნდა ავაგოთ, თუ ვის აწყობდა ავადსახსენებელი აგვისტოს მოვლენები. მაშინაც და ახლაც ნათლად ჩანდა და ჩანს, რომ ეს ომი რუსეთს აწყობდა“, – აცხადებს ქართველი სპეცსამსახურელი.

რა შედეგი მოუტანა აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა რუსეთს და, ზოგადად, მსოფლიოს?

აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოსა და რუსეთის ავტორიტეტული სპეციალისტი, ედვარდ ლუკასი „რადიო თავისიფლებას“ ეტყვის:

„ვფიქრობ, რომ აგვისტოს ომით რაღაც ყველამ მოიგო და ყველამ რაღაც წააგო. ჩემი აზრით, რუსეთმა შეძლო იმის ჩვენება, რომ შეუძლია, მწვავე კონფრონტაციაზე წავიდეს და მას თავი გაართვას. ამით დაირღვა გარკვეული ტაბუ, რომელიც მანამდე არსებობდა. ასევე, გამოჩნდა, რომ ევროპის კავშირი ძალზე დაქსაქსულია საიმისოდ, რომ ამ კონფრონტაციისთვის მართლაც სერიოზული ფრონტით გაეცა პასუხი. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რუსეთმა გარკვეული ზიანი მიაყენა გარე სამყაროში თავის იმიჯს. შესაძლოა, ერთგვარად შემცირდა რუსეთის ნდობაც. თავიდან საქართველო ომის მხვერპლად იყო მიჩნეული და ამით ცოტა მოიგო, მაგრამ მოგვიანებით, პროპაგანდისტულ ბრძოლაში წაგება დაიწყო“.

ამ პროპაგანდისტული ომის წაგებაში კი გარკვეული როლი, ცხადია, იმ ქართველებმაც ითამაშეს, რომლებიც წერილის დასაწყისში ვახსენეთ და რომლებიც ომის დაწყებაში იმთავითვე საქართველოს ადანაშაულებენ, მაგრამ გავა დრო და რუსეთისადმი, მინიმუმ, ლოიალურად განწყობილი ეს კასტა აღარავის ემახსოვრება, ან უფრო სწორად, ამ კასტას ყველა უარყოფით კონტექსტში გაიხსენებს. სამაგიეროდ, გიორგი ანწუხელიძის, შინდისის მებრძოლებისა და აგვისტოს ომის სხვა გმირების სახელები კი თაობიდან თაობას გადაეცემა! დიახ, აგვისტოს ომის ქართველი გმირებით ჩვენი შვილები და შვილიშვილები იამაყებენ!

რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო აგვისტოს ომიდან 15 წლის შემდეგ

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა ვითარებაა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან 15 წლის შემდეგ, ოკუპაციის თვალსაზრისით და რა გამოწვევების წინაშეა საქართველო? – „ვერსია“ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალი“ მთავარ რედაქტორს, ირაკლი ალადაშვილს ესაუბრა:

„ჩვენთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა... ოკუპაცია გრძელდება!“

– უკრაინის ომის შემდეგ, ყველამ დაინახა, რომ 15 წლის წინაც რუსეთი იყო აგრესორი, ოღონდ, მაშინ საქართველოს წინააღმდეგ თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარებოდა 2008 წლის ომთან დაკავშირებით, უბრალოდ, მაშინ მსოფლიომ „გადაყლაპა“ ის, რაც რუსეთმა მეზობელი, დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოს წინააღმდეგ გააკეთა ღია სამხედრო აგრესიის სახით. ეს შემდეგ გაიმეორა „მწვანე კაცუნების“ სახით, ყირიმში, 2014 წელს, შემდეგ იყო დონბასის აჯანყება და ბოლოს, 2022 წელს დაწყებული უზარმაზარი ომი, რაც ევროპას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ უნახავს.

ამ 15 წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, ჩვენთვის სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან ოკუპაცია გრძელდება, როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე – აფხაზეთის. ამას ემატება ბორდერიზაცია, როდესაც რუსი ოკუპანტები, ადგილობრივ სეპარატისტებთან ერთად, დროდადრო ავლებენ საოკუპაციო ხაზის ე.წ. ღობეებს.

საერთაშორისო თვალსაზრისით, მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია. ამას მიიჩნევს გაერო-ცა და ნატო-ც, თუმცა ამას რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც აგრძელებს ოკუპაციას და ვხედავთ, რაც ხდება უკრაინაში. ყველა ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა, რადგან მაშინ ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი, ნატო უნდა ჩაერთოს პირდაპირ ომში რუსეთის ფედერაციასთან, რაც არავის სურს, გასაგები მიზეზების გამო და არც ჩვენს ინტერესში უნდა იყოს უფრო დიდი ომის დაწყება.

– ცოტა ხნის წინ, პუტინმა განაცხადა, ჩვენ არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ნატო ჩვენთან ომს დაიწყებს, ამისთვის მზად ვართო. რას მოასწავებს ეს რიტორიკა?

– თავად პუტინი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, აგრძელებს დასავლეთის დაშინების პოლიტიკას ბირთვული და მსგავსი ტიპის მუქარებით, თუმცა ეს მხოლოდ ლიტონ სიტყვებად არ რჩება, რადგანაც რამდენჯერმე შეასრულა დაქადნება. პირველ რიგში, 2008 წელს – 2007 წლის ბოლოს დაიქადნა, რომ თუ დასავლეთი აღიარებდა კოსოვოს დამოუკიდებლობას, ის მიიღებდა იმავე დონის პასუხს, რაც გამოისახა ცხინვალსა და აფხაზეთში შემოჭრითა და ოკუპაციით. ასევე, როდესაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატო-ს წევრებიო, მაშინაც დაიქადნა პუტინმა, რომ აღმოსავლეთით გაფართოვება ნატო-ს ძვირად დაუჯდება და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რაც მოხდა საქართველოში და რაც ახლა ხდება უკრაინაში. ამიტომაც გასაგებია, რომ დასავლეთი უფრთხის პუტინის მორიგ დაქადნებას ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, წელიწადნახევარია, რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს და იმის თქმა, რომ რუსეთი შეძლებს ნატო-სთან გამკლავებას ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით, გამიჭირდება იმიტომ, რომ რუსეთმა მთელი თავისი რესურსი ამ ომში ჩადო და ვეღარ შეძლებს, ნატო-სთან ომს გაუმკლავდეს. აქ არის მეორე, ბირთვული ფაქტორი, როდესაც რუსეთი აცხადებს, რომ თუ ძალიან გაუჭირდა, გამოიყენებს ამ იარაღს...

– განაცხადეთ, რომ მსოფლიომ ადვილად შეარჩინა რუსეთს აგვისტოს ომის ამბავი... თუმცა, არაერთი საერთაშორისო დონის რეზოლუცია გამოქვეყნდა, ჰააგის სასამართლომაც საქართველოს მხარე გაამართლა და დაამტკიცა, რომ აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო... ასევე, ოს და რუს მაღალჩინოსნებს დაუსწრებლად პატიმრობა შეეფარდათ... რას იტყვით, ამ სამართლებრივ საკითხებზე?

– წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, რომ საერთაშორისო სასამართლომ აღიარა, ომის დაწყებაზე პასუხისმგებელი რუსეთიაო, მაგრამ რეალურად, ამ ეტაპზე, ეს შედეგს ვერ დადებს, რადგან სამხედრო პირების, რომლებიც დამნაშავედ დაასახელეს, დაკავებაც კი არაა შესაძლებელი. მხოლოდ რამდენიმე ადამიანზეც დაბრალება არასერიოზულია, რადგან იქ იმდენი სამხედრო დანაშაული იქნა ჩადენილი და იმდენ ადამიანზე შეიძლებოდა, დასკვნა გაკეთებულიყო...

მოკლედ, კი, გულის მოლბობა გამოდის, მაგრამ რეალურ შედეგს ეს არ იძლევა, რადგან ყველაფერ ამის უკან, რუსეთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი პუტინი დგანან და სანამ არ მოხდება სერიოზული ძვრები, ომში რუსეთის უკრაინასთან დამარცხების ნიშნები, იმის თქმა, რომ შევძლებთ, სამართლებრივი თვალსაზრისით, პასუხი ვაგებინოთ რუსეთს 2008 წლის აგვისტოს ომში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებზე, ძალიან რთულია.

– ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რამდენად იმოქმედებს ოკუპაციის კონტექსტზე?

– ნებისმიერი სახის დაახლოება ევროპასა და ნატო-სთან საქართველოს მომავლისთვის, რა თქმა უნდა, გადამწყვეტად კარგია, თუმცა ევროკავშირმა რომც მოგვანიჭოს კანდიდატის სტატუსი, ეს არ ნიშნავს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას და ამას, შეიძლება, წლები დასჭირდეს.

ვიცით, ნატო-სთან დაკავშირებით რა პრობლემაცაა, იმის თქმა, რომ საქართველო არ არის მზად პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით, რომ გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა, აბსურდია, რადგან ყველამ დაინახა, ჩვენზე სუსტი ქვეყანა, სადაც ბევრად ნაკლები დემოკრატიაა და მათი შეიარაღებული ძალები ბევრად ნაკლებადაა მიახლოებული ნატო-ს სტანდარტებთან, მიიღეს თავის წევრად. გასაგებია, რომ საქართველო-უკრაინის მთავარი პრობლემაა რუსეთი, პუტინი და მიღება ნიშნავს ომის დაწყებას, ფაქტობრივად, რუსეთთან. ეს არ უნდა დასავლეთს და ეს არის, მეტი არაფერი...

ევროკავშირთან დაკავშირებით კი რუსეთს „ვენები არ გადაუჭრია“, საქართველო რომ ევროკავშირის წევრი გახდეს. მით უმეტეს, შეიძლება, ნაკლებად მტკივნეულად გაკეთდეს, რადგან ეკონომიკას ეხება და გაიხსნება ბაზრის გარკვეული მიმართულებები, ევროპასთან დაახლოების გზა გამოიკვეთება.

– რას ფიქრობთ, ნატო-ს ბოლო სამიტზე, საქართველო-უკრაინა ერთ კონტექსტში რატომ აღარ განიხილეს?

– ბუნებრივია, რადგან დასავლეთის მთელი ყურადღება უკრაინისკენაა მიმართული. სიმართლე რომ ვთქვათ, არც საქართველოს სჭირდებოდა თავის წამოწევა ამ დროს, რადგან არაა სახუმარო სიტუაცია და ქართველები გულზე მჯიღის დარტყმამ ტრაგიკულ სიტუაციებში გაგვხვია... ვნახეთ, რომ ბოლო სამიტზე, ნატო-მ უკრაინას ბევრი ვერაფერი მისცა და ვერც მისცემს, თორემ მოუწევს, კოლექტიური თავდაცვის შესახებ, მეხუთე პუნქტის ამოქმედება და რუსეთთან ომის დაწყება, რაზეც არ მიდის ნატო და გასაგებია, რატომაც.

– გულზე მჯიღის ცემა ახსენეთ... როგორ უნდა იმოქმედოს ახლა საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკურად ისე, რომ არსებულ სიტუაციაში, ნაკლები დანაკარგით გამოვიდეს ქვეყანა? რა არის სწორი სტრატეგია?

– იმის თქმა, რომ რუსეთი არ გავაღიზიანოთ, რათა რამე არ ქნას, ასე არაა, რადგან რუსეთს ნებისმიერი საბაბის, მიზეზის გარეშე შეუძლია, გააგრძელოს სამხედრო აგრესია საქართველოში, თუ დასჭირდა...

არის კი საქართველო, ან იყო კი 2008 წლის აგვისტოს ომამდე იმისთვის მზად, რომ სამხედრო გზით აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა? მოდით, საზოგადოებას ვკითხოთ – არის კი საზოგადოება იმისთვის მზად, რომ როგორც 2020 წელს, აზერბაიჯანმა ყარაბაღისთვის, თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის იბრძოლა და ომი მოიგეს, ამისთვის მსხვერპლი გავიღოთ? – ამის გარეშე კი არაფერი გამოვა, ომით დაკარგულს ომით იბრუნებენ, საერთოდ... მარტო იმის თქმა, ჯარში რა მინდა და თუ დამჭირდა, ავტომატს მერე ავიღებო, ასე არ ხდება. ბრძოლა დიდი მეცნიერებაა, რომელსაც სწავლა უნდა და ისიც ბოლომდე ან გიშველის, ან – არა, ფრონტის ხაზზე.

როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან შოვის ტრაგედიის მსგავსი ტრაგედიები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ინტერვიუ გეოფიზიკის პროფესორთან

3 აგვისტოს, შოვში მომხდარმა ტრაგედიამ სრულიად საქართველო შეძრა. უეცრად მოვარდნილმა ღვარცოფმა შეიწირა არაერთი ადამიანის სიცოცხლე. დაღუპულთა შორის მცირეწლოვნებიც არიან, ზოგ დაკარგულს კი ამ დრომდე ვერ პოულობენ... გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გამოაქვეყნა პირველადი დეტალური დასკვნა მომხდართან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ღვარცოფის წარმოქმნის მიზეზი მყინვარის დნობა გახდა...

რა პროცესებმა განაპირობა შოვის ტრაგედია და რა სახის პრევენციული ზომების გატარებაა აუცილებელი მსგავსი კატაკლიზმების დროს, მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად? – „ვერსია“ გეოფიზიკის მიმართულების პროფესორს, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დამაარსებელ ზურაბ ჯავახიშვილს ესაუბრა.

– ბატონო ზურაბ, მკითხველისთვის ადვილად გასაგები რომ იყოს, აგვიხსენით, რა წერია გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნაში, შოვის ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით?

– დიახ, აგიხსნით, თუმცა მანამდე აღვნიშნავ, რომ ამის ვარაუდი მაშინვე გამოითქვა. დასკვნამდე ერთი-ორი დღით ადრე, სოციალურ ქსელშიც დაწერეს ჩვენმა კოლეგებმა, რა მოხდა და რა გახდა ძირითადი მიზეზი – მყინვარების ინტენსიური დნობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. ამ მყინვარების დნობამ გააძლიერა საფრთხე, რადგან მყინვარების დნობის გამო, იქმნება მყინვარული ტბები მყინვარის შუაში, ან ნაპირზე. რამე მოვლენის გამო, ტბის ნაპირი-ჯებირი შეიძლება ჩამოიშალოს, წყალმა მყინვარის ძირში ქვა-ღორღი და დანალექი მასა ერთად წამოიღოს.

ეს დასკვნა გვეუბნება, რომ მყინვარზე, საიდანაც მდინარე ბუბისწყალი გამოდის, კლდე ჩამოიშალა, ყინული ჩამოანგრია, სავარაუდოდ, იქაც ტბა იყო გაჩენილი და ეს ჩამონგრეული მასა, წყალთან ერთად, ძალიან დიდი სისწრაფით წამოვიდა ხეობაში. ეს ადგილები სავსეა ისეთი მასალით, რომლითაც ღვარცოფი იქმნება, გამოფიტულ-დანაწევრებული ქანებით და ეს მასალა წყალმა წამოიღო.

გარდა ამისა, ამბობენ, რომ რადგანაც ეს მეწყრული ადგილებია, ღვარცოფმა ერთი-ორგან მეწყრული პროცესებიც გამოიწვია, დაემატა მეწყრული მასა და ამ მდინარის სიგრძე, დაახლოებით, 9 კილომეტრია, ჩამოვიდა და დაფარა გარკვეული ტერიტორია.

– რამდენად იყო მოსალოდნელი ეს კატასტროფა?

– ასეთი კატასტროფა, ზოგადად, მოსალოდნელი იყო... მსგავსი მყინვარული ღვარცოფი იყო, მაგალითად, დევდორაკის – 2014 წელს; ნენსკრას ხეობაში, როდესაც 2018 წელს, ხიდები დაანგრია და გზები წაიღო; მესტიაჭალაში, როდესაც ჰესი ააშენეს, ორჯერ დაანგრია... კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა და მსოფლიოშიც ხშირად ხდება – ამას მყინვარული ტბის ამოფრქვევასაც კი უწოდებენ. ამიტომ, ასეთი მოვლენა, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო.

– მყინვარული მდინარეების მსგავსი სახიფათო ზონები კიდევ სადაა საქართველოში და რა უნდა გავითვალისწინოთ მსგავსი კატასტროფების თავიდან ასარიდებლად?

– მყივარული ზონები საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით, დასავლეთ კავკასიონში – სვანეთში, რაჭაში, ყაზბეგამდე თვითონ მყინვარწვერიც – მყინვარია. აღმოსავლეთით უკვე მყინვარული მდინარეები აღარაა. გარკვეული საფრთხეები და ღვარცოფები არამყინვარულ ზონებშიცაა, მყინვარული ზონები კი, კლიმატის ცვლილების ფონზე, დამატებით საფრთხეს ქმნის.

როცა საუბრობენ და დასკვნაშიც წერია, რომ 100 წელია, შოვში, ბუბისწყალზე ღვარცოფული ნაკადი არ ყოფილა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ეს საფრთხე გაიზარდა ბოლო 10 წელიწადში.

– რატომ?

– მყინვარების დნობა ძალიან ინტენსიური გახდა და ეს გასათვალისწინებელია. საერთოდ კი, ეს რეგიონი ღვარცოფებისა და მეწყერების საფრთხეებით ცნობილია. რაჭაში მიწისძვრებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი საფრთხეა, მაგრამ საბედნიეროდ, ძლიერი მიწისძვრები იშვიათად ხდება. მეწყრები კი ძალიან ხშირია. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის ბოლო წლების ანგარიშები რომ წავიკითხოთ, ვნახავთ, რამდენჯერ წაიღო ხიდი, გზა ჩამოშალა ღვარცოფებმა და მეწყრებმა.

– რა უნდა იყოს პრევენციის პირველი ნაბიჯები?

– ასეთი კატასტროფული მოვლენებისგან ადამიანების დასაცავად, მშენებლობის ადგილი უნდა შეირჩეს სწორად. ბევრ სხვა რამეზე ამახვილებენ ყურადღებას, ვერტმფრენის არქონაზე, მონიტორინგის ადრეული შეტყობინების სისტემაზე... მაგრამ

> **ტრაგედიის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ კოტეჯები არასწორ ადგილზე იყო აშენებული – მდინარის კალაპოტში!**

ყველა გეოლოგი აღნიშნავდა, რომ ეს კოტეჯები იყო მდინარის კალაპოტში აშენებული, რაც არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება! არ აქვს მნიშვნელობა, რომ რამდენიმე ათეული წელი არ ყოფილა წყალდიდობა, ეს არ ნიშნავს, რომ არ იქნება.

ბევრჯერ გაისმა ასეთი ფრაზა – კომუნისტების დროსაა აშენებული, მაშინ ყურადღებას აქცევდნენ და ხომ არ ააშენებდნენო? – მითია ეს! არ იყო საბჭოთა კავშირი ის ადგილი, სადაც სწორად აშენებდნენ, ან გარემოს დაცვასა და ადამიანის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ. ეს შენობები, 60 წლის წინ, არასწორად აშენდა, რამაც მოიტანა ეს ტრაგიკული შედეგი. შენობები სწორ ადგილას რომ აშენებულიყო, იქნებოდა უდიდესი ღვარცოფი, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, არავინ დაღუპულიყო.

დანარჩენს რაც შეეხება, სამაშველო სამსახური საჭიროა მას შემდეგ, რაც მსგავსი რამ მოხდება. პრევენციის მთავარი პრინციპი კი ისაა, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი ტრაგედია.

– მონიტორინგის ადრეული შეწტყობინების სისტემაზე რას იტყვით, აპრობირებული მეთოდია მსგავსი კატასტროფების თავიდან ასარიდებლად?

– ამ დასკვნაშიც წერია, რომ 8-10 წუთში, მყინვარიდან ეს მასა უკვე შოვში იყო. დაახლოებით, 9 კილომეტრი გაიარა ამ დროში, რაც ძალიან დიდი სიჩქარეა, მაგრამ 8 წუთში ნელი სიარულითაც კი 500 მეტრს მაინც გაივლი. იქ კი სრულიად უსაფრთხო ადგილზე გასასვლელად, მაქსიმუმ, 100 მეტრიც არაა საჭირო ანუ ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, ადამიანები მოასწრებდნენ სამშვიდობო ადგილზე გასვლას, რომ სცოდნოდათ, რაც ხდებოდა. გეოლოგიური დეპარტამენტის ნაშრომებში მითითებულია და მუნიციპალიტეტებსაც კი დაურიგდათ, მგონი, 2017 წელს, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროგრამით გარკვეული ანგარიშები, სადაც კატასტროფებზეც იყო ლაპარაკი და რუკებიც იყო ჩადებული. ამ რუკებზე პირდაპირ მონიშნულია, რომ შოვში ღვარცოფის ტიპის საშიშროება არსებობს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობას, ბიზნესმენებსაც, რომლებსაც ეს სასტუმროები ჰქონდათ, რაღაც უნდა ეღონათ და რაც მთავარია, რა თქმა უნდა, სასტუმროს არცერთ მეპატრონეს არ უნდა, დამსვენებლები გააფრთხილოს, რომ ეს არის ადგილი, სადაც მეწყერი და ღვარცოფი ხდება ხშირად. დარწმუნებული ვარ, არცერთ დამსვენებელს ეს რუკა ნანახი არ ექნებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

– თქვენი რეკომენდაციაა, რომ მსგავს სახიფათო ზონებში დამსვენებლებს მიეწოდოს ინფორმაცია შესაძლო ხიფათის შესახებ?

– ინფორმაცია რომ გაავრცელონ, შესანიშნავი ადგილია, მაგრამ აქ არის გარკვეული საფრთხე, ეს შეამცირებდა დამსვენებლების რაოდენობას. თუმცა, მეორე მხრივ, ეს აიძულებდა მეპატრონეებს, ადრეული გაფრთხილების სისტემა დაენერგათ.

– როგორ ფუნქციონირებს ადრეული გაფრთხილების მონიტორინგის სისტემა?

– მდინარეში წყლის დონე იზომება და მკვეთრი ცვლილების, ზრდის შემთხვევაში, სიგნალი იგზავნება – ელექტრომაგნიტური ტალღა სინათლის სიჩქარესთან გაცილებით სწრაფად მოძრაობს, ვიდრე წყლის, ან ღვარცოფის მასა და შესაბამისად, რამდენიმე წუთია იმისთვის, რომ უსაფრთხო ადგილას გავიდეს ადამიანი.

გარდა ამისა, ამგვარი ტიპის სასტუმროებში რომ მიდის დამსვენებელი, უნდა უთხრან, თუ განგაში ჩაირთო, ბორცვზე უნდა ახვიდეთო. როგორც ხანძრის შემთხვევისთვისაა საევაკუაციოდ ნახაზები; როგორც თვითმფრინავში გვაფრთხილებენ, როგორ უნდა მოვიქცეთ ავარიის დროს, დაახლოებით, ასეთი სქემა უნდა იყოს იმის მიხედვით, სად, როგორი ხიფათია.

– ბატონო ზურაბ, ვერტმფრენით პატრულირება არის მონიტინგის ქმედითი გზა პრევენციისთვის?

– ამ შემთხვევაში, ვერტმფრენით პატრულირება ვერ გვიშველიდა, მაგრამ მეორე მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიები ისეა განვითარებული, რომ სატელიტური სურათების მუდმივი დამუშავება, მაგალითად, იმის აღმოჩენა, რომ ტბა გაჩნდა მყინვარში და გარკვეული ხიფათია მოსალოდნელი, ამის გაკეთება უფრო რეალური მგონია – მყინვარებზე დაკვირვება სხვადასხვა თანამედროვე მეთოდით.

მომაკვდინებელი სტიქია შოვში

მაკა რუხაძე

რა წერია საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის პირველად დასკვნაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 7 აგვისტო საქართველოში გლოვის დღე იყო. 3 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტში, კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, 7 აგვისტოს, მთავრობის ადმინისტრაციის შენობასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სახელმწიფო დროშები დაეშვა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახის წევრებს, მათ ახლობლებსა და ნათესავებს. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას:

„ნამდვილად საშინელი ტრაგედია მოხდა შოვში, რამაც ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. მინდა, მინისტრებს გთხოვოთ, რომ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გარდაცვლილთა ნათელ ხსოვნას. კიდევ ერთხელ მინდა, ჩემი და მთავრობის სახელით, გამოვხატო ღრმა მწუხარება. ამ საშინელმა ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა შოვში, მთელი საქართველო შეძრა და ამიტომ, მინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენი სამძიმარი გამოვუცხადო ოჯახებს. ძალიან მძიმე განსაცდელია მთელი ქვეყნისთვის. მთავრობა ჩართული იყო პირველივე წუთებიდან, მოგეხსენებათ. ჩვენი გმირი მაშველები, 400-მდე მაშველი იყო ჩართული სამუშაოებში, 210 ჩვენი თანამოქალაქე იქნა გამოყვანილი სტიქიის ზონიდან, უვნებელი. ასევე, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი გმირი ჯარისკაცები ჩაერთნენ ამ სამუშაოებში, ეხმარებოდნენ ჩვენს საამაყო, გმირ მაშველებს. მობილიზება იყო სრული გაკეთებული ჩვენი მხრიდან, ადგილზე იყვნენ ექიმები, ადგილზე არის მობილიზებული 100-ზე მეტი სპეციალური ტექნიკა, ბატონი ქარსელაძე თავად ხელმძღვანელობდა ამ სამუშაოებს და ყველა, მთელი მინისტრები, რა თქმა უნდა, იყვნენ მობილიზებულნი ადგილზე. კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა, რომ ეს მძიმე განსაცდელია ჩვენთვის, ყველასთვის და სამძიმარს ვუცხადებ გარდაცვლილთა ოჯახებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამ დროისთვის (7 აგვისტო) არსებული ოფიციალური მონაცემებით, სტიქიის შედეგად, 18 ადამიანია დაღუპული.

გეოლოგების პირველადი შეფასება

„მსგავსი სტიქია დასავლეთ საქართველოში არასდროს ყოფილა“, – ასე შეაფასა ტრაგედია გეოლოგმა, მერაბ გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ თავისი მასშტაბების მიხედვით, შოვში მომხდარი სტიქია, შეგვიძლია, შევადაროთ 1991 წლის რაჭა-იმერეთის ზონაში მომხდარ მიწისძვრასა და 2013-14 წლებში – თბილისისა და დევდორაკის სტიქიებს...

საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეოლოგებმა, შოვში ჩატარებული სამუშაოების შემდეგ, პირველადი დასკვნა გამოაქვეყნეს. ვიდრე ამ დასკვნას დეტალურად შემოგთავაზებთ, აუცილებლად უნდა გავეცნოთ რამდენიმე, მნიშვნელოვან საკითხს, რომლებიც დასკვნაშია აღნიშნული. გეოლოგების მტკიცებით, სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან, შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე, წინასწარი გათვლებით, ღვარცოფულ ნაკადს, სავარაუდოდ, 8-10 წუთში უნდა მიეღწია. პირველადი დასკვნა საზოგადოებას გეოლოგმა, მერაბ გაფრინდაშვილმა გააცნო.

სპეციალისტების შეფასებით, 2023 წლის 3 აგვისტოს, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, ადგილი ჰქონდა სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექების მოსვლა წვიმის სახით, სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესები და ღვარცოფის გავლა) თანხვედრას, რამაც გამოიწვია ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება. ხეობაში განხორციელებული საველე კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მყინვარ ბუბას დასავლეთით, ადგილი ჰქონდა კლდეზვავური მასის ჩამოშლას, რომელიც დინამიკაში მოსვლის შემდეგ, შეეჯახა მყინვარს, მოახდინა მისი გარკვეული ნაწილის ჩამონგრევა, რამაც შესაძლოა გამოიწვია მყინვარქვეშა დაგუბებული წყლების გადმოდინება, რის შემდეგაც წარმოქმნილმა ნაკადმა დიდი სიჩქარით დაიწყო მოძრაობა ხეობის კალაპოტში. ამ პროცესს ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში მომატებულმა ჰაერის ტემპერატურულმა ფონმა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა მყინვარების ინტენსიურმა დნობამ და თანმდევმა ატმოსფერულმა ნალექებმა.

დინამიკაში მოსული კლდეზვავური მასალა და მყინვარული მასის ნაწილი ხეობის ზედა ნაწილშივე ტრანსფორმირდა გლაციალურ ღვარცოფულ ნაკადად. კალაპოტში დიდი სიჩქარით გავლილმა ნაკადმა, ხეობის შუა და ქვედა ნაწილში, ორივე ბორტის გასწვრივ გამოიწვია ფერდობების ძირის გამორეცხვა და ე.წ. სანაპირო

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მომაკვდინებელი სტიქია შოვში





მე-6 გვერდიდან

ტიპის მეწყრული სხეულების წარმოქმნა-გააქტიურება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მასშტაბის ახალი მეწყრულ-ეროზიული კერები ჩამოყალიბდა მდინარე ბუბისწყლის, პრაქტიკულად, ყველა შენაკადში. ამრიგად, ხეობის ზემო წელში ფორმირებულ მყარ ნაკადს, მდინარე ჭანჭახთან შეერთებამდე, დაემატა, როგორც მდინარე ბუბისწყლის კალაპოტის გასწვრივ ნაპირგარეცხვის შედეგად ჩამოშლილი მეწყრული მასები, ასევე, შენაკადებიდან ტრანსპორტირებული ნაშალი მასალა.

„აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მდინარე ჭანჭახზე არსებული ჰიდროლოგიური სადგურის (ავტომატური წყლის ხარჯის მზომი სენსორი) მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, წყლის ხანგრძლივ შეგუბებას არც სტიქიის განვითარებამდე და არც სტიქიის განვითარების პროცესში, ადგილი არ ჰქონია.

2023 წლის 01.06-03.08 პერიოდში, მძლავრი ტალახ-ქვიანი ღვარცოფული ნაკადი, დინების ქვემო წელში გადავიდა კალაპოტიდან და დაახლოებით 15:15 წუთზე, გაიშალა შოვის (ე.წ. „კოტეჯების უბანი“) ტერიტორიაზე, დაახლოებით 26 ჰექტარზე, სადაც დაფარა იქ არსებული შენობა-ნაგებობები და გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი.

ღვარცოფული ნაკადის შემადგენლობის, ხეობის დახრილობის (ენერგეტიკული პოტენციალი), მორფოლოგიური პირობების და მანძილის გათვალისწინებით, სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან, შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს წინასწარი გათვლებით უნდა მიეღწია სავარაუდოდ 8-10 წუთში.

წინასწარი შეფასებით, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, დინამიკაში მოსული მყარი მასალის საორიენტაციო მოცულობა, დაახლოებით, 5 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რომლის უმეტესი ნაწილი შევიდა მდინარე ჭანჭახისა და მდინარე რიონის კალაპოტებში, ხოლო დაახლოებით 1.5 მილიონი კუბური მეტრი აკუმულირდა სტიქიის ეპიცენტრში და ბუბისწყლის ხეობის ტრანზიტულ ზონაში“, – ვკითხულობთ გეოლოგების დასკვნაში.

სტიქიის გამომწვევი მიზეზები:

მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, სტიქიური პროცესების გააქტიურებას, რელიეფის მაღალენერგეტიკულ პოტენციალთან ერთად, განაპირობებს:

1. მკაცრი კლიმატური პირობები – ნივალურ ზონაში, ტემპერატურის ამპლიტუდის მკვეთრი ცვლილებები და მასთან დაკავშირებული ქანების ყინვით-მექანიკური გამოფიტვისა და სოლიფლუქციური მოვლენების ინტენსიური მიმდინარეობა;

2. გამოფიტვის გამომწვევი აგენტების მიმართ ვულკანური და დანალექი ქანების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება;

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკური და სეისმური პირობები;

4. კლდეზვავური და ეროზიულ-გრავიტაციული მოვლენების შედეგად, დიდძალი ღვარცოფმაფორმირებელი კერების ჩასახვა-განვითარება, როგორც ხეობის სათავეებში და მის კალაპოტში, ასევე, მდინარე ბუბისწყლის შენაკადების ბორტებზე;

5. მყინვარული ეროზია, ფლუვიოგლაციალური და მორენული წარმონაქმნების დიდი მოცულობის დანაგროვების არსებობა ხეობის სათავეებში;

6. მყინვარული საფარის ინტენსიური დნობის შედეგად წარმოქმნილი ნადნობი წყლები, უხვი ნალექისა და გრუნტის წყლების მიერ, მდინარის სათავეებსა და მისი შენაკადების კალაპოტებში დაგროვილი ღვარცოფმაფორმირებელი კერების ჭარბი გაწყლოვანება;

7. უკანასკნელ პერიოდში, კლიმატის ცვლილებით (დათბობა, ატმოსფერული ნალექების რეჟიმის ცვლილებები და სხვა) გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება.

დასასრული მე-8 გვერდზე

მომაკვდინებელი სტიქია შოვში

მე-7 გვერდიდან

„მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, 2023 წლის 3 აგვისტოს წარმოქმნილი კატასტროფული ხასიათის გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექების მოსვლა წვიმის სახით, სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესები და ღვარცოფის გავლა) თანხვედრა დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთან.

ზემოთ აღწერილი, 3 აგვისტოს მყისიერად განვითარებული, კომპლექსური ხასიათის სტიქიური მოვლენის ფორმირება მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. მთელ მსოფლიოში ამ ტიპის მოვლენების ფორმირების ზუსტი დროის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია“, – ვკითხულობთ გეოლოგების დასკვნაში.

დასკვნები

1. ხეობაში განხორციელებული საველე კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მყინვარ ბუბას დასავლეთით, ადგილი ჰქონდა კლდეზვავური მასის ჩამოშლას, რომელიც დინამიკაში მოსვლის შემდეგ, შეეჯახა მყინვარს, მოახდინა მისი გარკვეული ნაწილის ჩამონგრევა, რამაც შესაძლოა გამოიწვია მყინვარქვეშა დაგუბებული წყლების გადმოდინება, რის შემდეგაც წარმოქმნილმა ნაკადმა დიდი სიჩქარით დაიწყო მოძრაობა ხეობის კალაპოტში.

მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, 2023 წლის 3 აგვისტოს, კატასტროფული ხასიათის გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები განაპირობა: მყინვარის ინტენსიურმა დნობამ, მყინვარის სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლამ, მოსულმა ატმოსფერულმა ნალექებმა, მეწყრულ-ეროზიულმა პროცესებმა და გლაციალური ღვარცოფის გავლამ, რაც დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთან;

2. მდინარე ჭანჭახზე არსებული ჰიდროლოგიური სადგურის (ავტომატური წყლის ხარჯის მზომი სენსორი) მონაცემების ანალიზის საფუძველზე:

სტიქიის განვითარებამდე, მდინარე ბუბას ხეობაში წყლის შეგუბებას ადგილი არ ჰქონია (მდინარე ჭანჭახზე არსებულ სადგურზე წყლის დონის კლება არ დაფიქსირებულა);

2023 წლის 3 აგვისტოს, სტიქიური მოვლენის განვითარების პროცესში, უშუალოდ მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, წყლის მასის გრძელვადიან შეგუბებას ადგილი არ ჰქონია;

3. ზემოთ აღწერილი, 3 აგვისტოს მყისიერად განვითარებული, კომპლექსური ხასიათის სტიქიური მოვლენის ფორმირება მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. მთელ მსოფლიოში, ამ ტიპის მოვლენების ფორმირების ზუსტი დროის პროგნოზირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია;

4. მდინარე ბუბისწყლის ხეობაში, ღვარცოფების ფორმირებისა და ტრანზიტის ზონის არეალში რაიმე სახის კაპიტალური დამცავი ღონისძიებების გატარება მდინარის ხეობის ჰიდრომორფოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის.

„გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები აგრძელებენ მდინარე ბუბისწყლის ხეობაში დამატებით ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ კვლევებს, რის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები შემდგომი ღონისძიებების განსახორციელებლად.

წინამდებარე დასკვნა შედგენილია გეოლოგიურ, მეტეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების, ისტორიული და მიმდინარე მონაცემების, მათ შორის, სატელიტური, რადარული და აერო-ფოტოსურათების დეშიფრირებული ინფორმაციის, აგრეთვე, საველე ჰიდრომეტეოროლოგიური/გეოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების კამერალური დამუშავების, ექსპერტული ცოდნის ანალიზის/განზოგადების საფუძველზე და განეკუთვნება პირველადი დასკვნის კატეგორიას“, – აღნიშნულია გეოლოგების დასკვნაში.

სამართალი

№29 9 აგვისტო 2023 წ

ნაპოვნია ორი ახალგაზრდის ცხედარი

როგორ დააკავეს ძალოვნებმა „ბარიგა“ „სოჩიკების კაცი“

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, ნარკოდანაშაული სამართალდამცავთათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ეს არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში ასეა და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, მდგომარეობა არ შეიცვლება. ნარკოტიკებში დიდი, ძალიან დიდი ფული იშოვება და ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც ამ დიდი ფულის შოვნას შეეცდება. თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სულ უფრო რთულდება ნარკოდილერების დაკავება და გამოაშკარავება. ინტერნეტ-სივრცის კონტროლი წარმოუდგენელია და ამიტომ, ე.წ. ბარიგები მას აქტიურად იყენებენ ნარკოტიკების გასასაღებლად. მთავარ პრობლემად მაინც ე.წ. დამდების პოვნაა ანუ ადამიანის, ვინც ნარკოტიკს კონკრეტულ ადგილზე დადებს და შემდეგ ლოკაციას ჩაუგდებს მყიდველს, თუმცა ფანტაზიას აქაც დიდი გასაქანი აქვს და ამაზე ქვემოთ. მანამდე კი... თანამედროვე დრონების გათვალისწინებით, ნარკოტიკების გასაღება მათი მეშვეობითაც ხდება. ფულის გადახდის შემდეგ, ნარკოდილერი მყიდველს კონკრეტულ ადგილზე იბარებს, კილომეტრის მოშორებით, დრონს სწევს ჰაერში და შეძენილი ნარკოტიკი მყიდველს პირდაპირ თავზე ეცემა...

ოთხიოდე წლის წინ, თბილისის გარეუბანში, ერთ-ერთ ბინაში, ორი გარდაცვლილი იპოვეს. მათი ვენების მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველადი ვერსიით, ისინი ზედოზირების შედეგად გარდაიცვალნენ, მაგრამ მოგვიანებით, ექსპერტმა თქვა, რომ ორივე მათგანი, სავარაუდოდ, ბალიშით გაგუდეს, თუმცა იმავე ექსპერტის დასკვნაში ისიც ეწერა, რომ გარდაცვალების დროს, ორივე ახალგაზრდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. სამართალდამცავებს ბევრი არ უფიქრიათ, გვერდით კორპუსში მცხოვრები კონტროლიორი დააკავეს, რომელიც ელექტროსისტემაში მუშაობდა და მრიცხველის ჩვენებების ამოწერით იყო დაკავებული. როგორც ორი მოწმე ამბობდა, იმ სადარბაზოში მხოლოდ ინკასატორი შევიდა და გამოვიდა იმ დროს, როცა მკვლელობა მოხდა. კონტროლიორი არ მალავდა, რომ სადარბაზოში შევიდა, მეტიც, იმასაც ამბობდა, ნარკომანების ბინაში ვიყავიო.

„ერთადერთი ქალიშვილი მყავს. შინ ბრუნდებოდა და დამირეკა, ეზოში ვარ, მალე ამოვალო. „მალე“ 15 წუთი გამოვიდა და როცა სახლის კარი შემოაღო, ნაცემი იყო. ვიღაც დაესხა თავს, ოქროს ყელსაბამი შეაწყვიტა და ჩანთა წაართვა. მთელმა უბანმა იცის, რომ ჩვენს კორპუსში ის ორი ნარკომანი ცხოვრობს, აწიოკებული აქვთ აქაურობა, არ არის ეს პირველი შემთხვევა. ამიტომ, არ დამიწყია იმაზე ფიქრი, ვინ იქნებოდა თავდამსხმელი, მაშინვე მივხვდი და ბინაში ავედი. ჩემი გოგოს ჩანთაც იქ იყო, ყელსაბამი კი ერთ-ერთს ხელში ეჭირა. რად მინდოდა მაგათი მოკვლა, მაგრამ გვარიანად კი ვუეჟე, ჩემი შვილის ნივთები წამოვიღე და წამოვედი“, – ამბობდა დაკავებული და გამოძიებითაც დადასტურდა, რომ ნივთები მან მართლაც წამოიღო. ერთი ეგაა, დაკავებულის გოგონა ჯიუტად ამტკიცებდა, არ მგონია, იმ გარდაცვლილებიდან რომელიმეს დავეყაჩაღებინე, საკმაოდ ძლიერი იყო ის, ვინც ყელსაბამი შემაწყვიტა და ჩანთა წამართვა, თანაც იმ ნარკომანებზე ბევრად მაღალიო. ეს განცხადება გამოძიებას აძლევდა იმის საფუძველს, რომ თავდამსხმელმა ნარკომანებს ჩანთა და ყელსაბამი აუტანა, სანაცვლოდ კი წამალი გამოართვა და შემდეგ გაგუდა, რადგან წამლის ადგილსამყოფელი დაინახა და დიდი ოდენობის ხელში ჩაგდების მიზნით, ორი ბიჭი მოკლა.

გამომძიებლებმა მეზობლებიც დაკითხეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გოგონა აშკარად არ ტყუოდა. უბანში მაღალ და ძლიერ ბიჭზე ყველა საუბრობდა, ყველა ამბობდა, მე ჩანთა გამტაცა, მე დავინახე, როგორ შეაწყვიტა პირდაპირ ყურზე ქალს საყურეო და ალბათ, გიკვირთ, ყველაფერი თუ ასე მარტივი იყო, ყველამ თუ იცოდა დამნაშავის არსებობის შესახებ, სად იყო პოლიცია? აი, რა თქვა, ადგილობრივი განყოფილების უფროსმა:

„ინფორმაცია, რომ კონკრეტული ბინიდან წამალი იყიდებოდა, გვქონდა. 11-ჯერ ჩავატარეთ ჩხრეკა, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, მაგრამ ვერასდროს ვერაფერი ვიპოვეთ. საკონტროლო შესყიდვაზეც გავუშვით რამდენჯერმე ჩვენი თანამშრომლები, მაგრამ მათ ნარკოტიკი პირდაპირ არასდროს მისცეს, უბრალოდ, ლოკაცია უთხრეს. დაკავება არ გვინდოდა, გვსურდა გაგვეგო, ვინ იყო მათი მომმარაგებელი. რაც შეეხება მძარცველს, სამწუხაროდ, ის ძალიან ჭკვიანია, ერთსა და იმავე ადგილზე არასოდეს იმეორებს თავდასხმას, ოპერები არ გვყოფნის, მთელი უბანი რომ მოვიცვათ და თითქოს ინტუიციაც აქვს, გრძნობს, სად არის ჩასაფრება. ვიცით მისი აღწერილობა, მაგრამ არ ვიცით, როგორ გამოიყურება, რადგან მუდმივად ქუდი აქვს სახეზე ჩამოფხატული და ნიკაპსაც მალავს, მაგრამ ადრე თუ გვიან, მის ვინაობას აუცილებლად დავადგენთ“.

მკვლელობაში სავარაუდო ეჭვმიტანილის დაკავებამდე, სამართალდამცავებმა კონტროლიორის გაშვება არ ისურვეს, რადგან ზემდგომებთან თავი ხომ უნდა ემართლებინათ, თანაც, ეგებ, იმ მეორე ეჭვმიტანილს სულაც ეთქვა, რომ დაინახა, როგორ კლავდა კონტროლიორი ბიჭებს, შეეშინდა, ნაძარცვი დაყარა და გაიქცა. ძალოვნებს იმედი ჰქონდათ, რომ დოზის ფული ძებნილს მალე შემოელეოდა და მორიგ საქმეზე წავიდოდა. თუ მანამდე მასზე მონადირე ოპერჯგუფი 4 კაცისგან შედგებოდა, ახლა მათი რაოდენობა 16-მდე გაიზარდა და უბნის ლამის ყველა ის ადგილი კონტროლდებოდა, სადაც თავდასხმა და შემდეგ მიმალვა იყო შესაძლებელი. „მხეცი“ ხაფანგში მეორე დღეს გაება – ქუჩაში მიმავალ ქალს ჩანთა გასტაცა და იქვე, დაახლოებით, ათ მეტრში მყოფი ოპერები დაედევნენ, თან დანარჩენებსაც შეატყობინეს და იმის მიუხედავად, რომ თავდამსხმელი მართლაც კარგ, ფიზიკურ კონდიციაში იმყოფებოდა, მალე დააკავეს.

„მკვლელობის შესახებ არ ვიცი. ძარცვას ვაღიარებ, დოზა სასწრაფოდ მინდოდა, ისინი ნარკოტიკს სახლიდან არასდროს ჰყიდდნენ, ყოველთვის ლოკაციას გვეუბნებოდნენ, მაგრამ ძალიან მიჭირდა და ერთ-ერთმა საკუთარი ნარკოტიკი მომცა, სანაცვლოდ, თანხის ნაწილი არ გამოვართვი. იქვე გავიკეთე და წამოვედი, კიბეზე კი ერთი კაცი შემხვდა, სახელი არ ვიცი, მაგრამ მგონი, „სოჩიკებს“ ამოწმებს“, -განაცხადა დაკავებულმა.

მასთან შეხვედრა „სოჩიკების კაცმაც“ არ უარყო, მაგრამ ახალი, პასუხგაუცემელი კთხვა გაჩნდა – რატომ ამბობდა ორი მოწმე, რომ კონტროლიორის გარდა, სადარბაზოში არავინ შესულა? მოწმეები კიდევ ერთხელ დაჰკითხეს და მათ მხოლოდ შემდეგ აღიარეს, დაახლოებით, 10 წუთი, სადარბაზოსთან ზურგშექცევით იდგნენ და შესაძლოა, სწორედ მაშინ შევიდა ვინმე. დრო გადიოდა, გამოძიებას კი რეალური დამნაშავე არ ჰყავდა. ვარაუდის დონეზე მუშავდებოდა ვერსია, რომ ადგილი „დაიწვა“ და მთავარმა ნარკოდილერმა, რომელიც ბიჭებს წამალს მხოლოდ იმიტომ აძლევდა უფასოდ, რომ მათ დანარჩენებისთვის ლოკაცია მიეცათ და ფული გამოერთმიათ, ისინი, უბრალოდ, მოიშორა. ეს ვარაუდი არ იყო თითქოს ჭეშმარიტებისგან შორს, მაგრამ ვინ იყო ნარკოდილერი, ან სად უნდა ეძებნათ?

ამასობაში, სამართალდამცავებმა ერთი უცნაური რამ შენიშნეს. კონკრეტულად იმ უბნის ნარკომანები წამალს ვეღარ ყიდულობდნენ, რადგან ლოკაციების მიმცემი ბიჭები გარდაცვლილები იყვნენ და სავარაუდოდ, ნარკოდილერი ახალ მსხვერპლს ვერ პოულობდა. ეს ადგილობრივებისთვის კარგი ამბავი იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც გარდაცვლილ ნარკომანებს ჩაანაცვლებდა და თუ სქემა იგივე იქნებოდა, ნარკოდილერის დაკავება კვლავ გაჭირდებოდა. მყარი სამხილის არარსებობის გამო, სამართალდამცავები იძლებულები გახდნენ, კონტროლიორი გაეთავისუფლებინათ და ამ ამბავს უბანი ტაშით შეხვდა, ყველა ამბობდა, უდანაშაულო კაცის დაკავება უსამართლობა იყოო. გავიდა ერთი კვირა და... უბანში ახალი ხალხი გამოჩნდა, ისინი, რომლებიც ლოკაციას აძლევდნენ ნარკოდამოკიდებულებს და ძველი სქემა ისევ ამუშავდა. ძალოვნები ყველაფერს აკეთებდნენ დილერზე გასასვლელად, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ამიტომ, სამინისტროდან ბრძანება წამოვიდა – თუ ვინმე ნარკოდილერზე ინფორმაციას მიაწვდიდა, ყველანაირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა და... ჯილდოდ 10 ათასი ლარი ერგებოდა. ერთი შეხედვით, ეს არ იყო დიდი თანხა, მაგრამ ნარკოდამოკიდებული ადამიანისთვის, რომელსაც დღეში 50 ლარიც კი უზარმაზარი ფული ჰგონია, 10 ათასი ცოტა ნამდვილად არ არის. ამიტომ, რამდენიმე ნარკომანმა ხელი კონკრეტული ადამიანისკენ გაიშვირა, მაგრამ ყველა შემთხვევაში უშედეგოდ. თუმცა ერთ დღეს, განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და მშვიდად თქვა – დილერს დაგაჭერინებთ, მაგრამ 10 ათასი ლარის ნაცვლად, 10 ათასი ევრო მინდა და თან ბილეთი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაშიო. სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, დათანხმდნენ და მოსულმაც ასევე მშვიდად თქვა, ხვალ უნდა შევხვდე და კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ადგილზე იყავით, ოღონდ ისე, რომ არ „დაიწვათ“ – ძალიან ფრთხილი და ჭკვიანიაო.

რაღა თქმა უნდა, სპეცოპერაცია უმაღლეს დონეზე დაიგეგმა და წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდნენ სამართალდამცავები, როცა... კონტროლიორი დააკავეს ანუ იმ გოგონას მამა, რომელმაც საკუთარი უდანაშაულობა თითქოს დაამტკიცა.

„როცა შვილი მოვიდა სახლში ატირებული, ვიფიქრე, რომ იგი შეიძლებოდა იმ ორ იდიოტს გაეძარცვა. მათთან ავედი და დავინახე ჩანთა და ყელსაბამი, ორივე კაიფში იყო და გაგუდვა არ გამჭირვებია. მერე გავიგე, ძარცვა მათ არ ჩაუდენიათ, არადა, ვფიქრობდი, რომ თუ ასეთ დანაშაულზე წავიდნენ, ე.ი. თავის კონტროლი უჭირდათ. ლოკაციებს მარტივად ვარჩევდი, მე ხომ ყველა სადარბაზოში შესვლის უფლება მქონდა ისე, რომ ეჭვი არავის აეღო, კონტროლიორი ვარ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას მკვლელობისა და ნარკოტიკების გასაღებისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ცნობისთვის, პროკურატურა სამუდამოს ითხოვდა, მაგრამ...

ბათო ჯაფარიძე

მკვლელი სანიტარი

რატომ კლავდა საავადმყოფოს დამლაგებელი საოპერაციოდ გამზადებულ მოხუცებს

ასე თუ ისე, საყოველთაო დაზღვევა მუშაობს. მართალია, დაფინანსების მასშტაბები ცოტა შემცირდა, მაგრამ სწორედ საყოველთაო დაზღვევის დამსახურებაა, რომ ათასობით ადამიანმა ექიმს თამამად მიაკითხა, გაიკეთა ურთულესი ოპერაცია, რომელსაც სხვა დროს, უფულობის გამო, ვერ მოახერხებდა. შესაძლოა, არც ის იცის ბევრმა, რომ საბჭოთა კავშირის დროს, სამედიცინო მომსახურება სრულიად უფასო იყო. რა თქმა უნდა, ხდებოდა ისეც, რომ ექიმებს „ჯიგრულ, ქართულ პონტში“, გარკვეულ თანხას აძლევდნენ, ექთნებსაც არ სწყვეტდნენ გულს, სამმანეთიანს ჩაუკუჭავდნენ ჯიბეში და სთხოვდნენ, მათი ახლობლისთვის მეტი ყურადღება მიექცია. ურთულესი ოპერაციები სახელმწიფოსგან ფინანსდებოდა და პაციენტი არაფერს იხდიდა, თუმცა რთულ ოპერაციებზე იყო რიგები, რომელიც კონკრეტულ ადამიანამდე მაშინ აღწევდა, როცა მას უკვე ვეღარაფერი შველოდა და რიგში წინ გადაწევაც ფული ღირდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი არ დაიშალა, თუმცა ოფიციალურად, მისი დაშლის შემდეგაც, სამედიცინო მომსახურება უფასო **დარჩა. ერთი ეგ იყო, საბჭოეთის დაშლის შემდეგ, საქართველოში ენერგორესურსების პრობლემა გაჩნდა და ხშირად ხდებოდა, რომ შუა ოპერაციის დროს, შუქი მიდიოდა და ექიმებს სანთლის შუქზე უწევდათ ოპერაციების დასრულება. მაშინ გაუჭირდა ყველას, მაგრამ განსაკუთრებით მოხუცებს, რომლებსაც მომვლელ-მომკითხავი, უბრალოდ, არ ჰყავდათ.**

სწორედ მაშინ, საქართველოში გაჩნდა რამდენიმე ე.წ. ფირმა, რომლებიც კონკრეტული პირობების სანაცვლოდ, მოხუცებს სიცოცხლის ბოლომდე მოვლას სთავაზობდნენ. ხელშეკრულებაში ეწერა, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ, ბინა აღნიშნული „ფირმის“ საკუთრება ხდებოდა. მოხუცები კონტრაქტს ხელს არცთუ იშვიათად აწერდნენ და გვიან ხვდებოდნენ, რომ ეს შეცდომა იყო. ფირმის წარმომადგენლები უბრალოდ აღარ ჩნდებოდნენ და მშვიდად ელოდნენ მოხუცების გარდაცვალებას. რამდენიმე მათგანმა სასამართლოში წასვლაც სცადა, მაგრამ ეს იმხელა თანხებთან იყო დაკავშირებული, რომ აზრი არ ჰქონდა – მოხუცები ვერც ადვოკატის ფულს გასწვდებოდნენ და ვერც ფირმას აჯობებდნენ საჭირო ადამიანების მოქრთამვაში. ჰოდა, გაჩნდა ეჭვი, რომ ერთ-ერთი ასეთი ფირმა მოხუცებს სიკვდილში „ეხმარებოდა“ და ამას საავადმყოფოს მეშვეობით აკეთებდა. უფასო ოპერაციებზე რიგები ისევ იყო და სწორედ ორი ისეთი მოხუცი გარდაიცვალა აღნიშნულ კლინიკაში, რომლებსაც რიგითი ოპერაციები უწევდათ. წარმატების შემთხვევაში, ისინი კიდევ რამდენიმე წელს იცოცხლებდნენ, ფირმას კი ეს არ აწყობდა. სამართალდამცავ ორგანოებს ერთ-ერთი გარდაცვლილის ცოლმა მიმართა.

„ჩემს ქმარს კუჭის ოპერაცია სჭირდებოდა. ფირმასთან კონტრაქტი ერთი თვის წინ გავაფორმეთ, ყველაფერი ეს სასწრაფოდ იყო მოსაგვარებელი, მე სიმსივნე მაქვს და დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, მსურდა, უკანასკნელი თვეები ქმრის გვერდით გამეტარებინა, მაგრამ კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ, ფირმამ დაფინანსებაზე უარი თქვა. სასამართლოში რომც წავსულიყავით, ელემენტარულად, დროში ვერ ჩავეტეოდით, ოპერაცია აუცილებლად იყო გასაკეთებელი. სასწაული მოხდა, უფასო ოპერაციის რიგმა მოგვიწია. ქმარი საავადმყოფოში წავიდა, 2-3 დღე ოპერაციის მომზადებას სჭირდებოდა და დამირეკეს, გარდაიცვალაო. სიკვდილის ოფიციალური მიზეზი ის გახლავთ, თითქოს, ჩემი ქმარი კიბეებიდან დაგორდა, მოხუცი იყო, ფეხი აუცდებოდაო, მაგრამ ამის არ მჯერა, თანაც გავარკვიე, რომ ზუსტად ანალოგიურად, ორი კვირით ადრე, კიდევ ვიღაც მოხუცს აუცდა ფეხი და გარდაიცვალა იმავე კიბეზე. მოვიკითხე, მასაც ზუსტად იმ ფირმასთან ჰქონდა კონტრაქტი, რომელთანაც ჩვენ“, – ტირილით ჰყვებოდა ქალი.

ორი საეჭვო გარდაცვალება იმ არეული დროისთვისაც კი ბევრი იყო. გამომძიებლები კლინიკაში წავიდნენ, მაგრამ ექიმები მხრებს იჩეჩდნენ, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ არ დავრეკავდით ოპერაციაზე, ვერც ვერასდროს მიხვდებოდნენ, რიგმა მოუწიათ თუ არა, მათი სიკვდილი რაში გვაწყობდა, ახლა მათი ოპერაციის ფულის გარეშე ვრჩებითო და რეალურად, ისინი მართლები იყვნენ. მოხუცები ვერც ვერასდროს გაიგებდნენ, რიგში რამდენიმე ადგილით უკან რომ გადაეწიათ. გარდა ამისა, საოპერაციოდ მიყვანილი ხალხის დახოცვა კლინიკის ინტერესებში აშკარად არ შედიოდა ანუ ვერსია, რომ მოხუცები, მართლაც, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, უფრო გამყარდა, თუმცა სამართალდამცავებმა ფირმა შეამოწმეს, მისი თანამშრომლების გარემოცვა შეისწავლეს და... ერთ-ერთი ხელმძღვანელის და იმ კლინიკაში ექთნად მუშაობდა ანუ მას ძალიან მარტივად შეეძლო, ხელი ეკრა მოხუცებისთვის და კიბეებზე დაეგორებინა. რაც მთავარია, ორივე შემთხვევის დროს, ის მორიგე იყო ანუ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

„მე არავინ მომიკლავს. ვაღიარებ მხოლოდ იმას, რომ მქონდა სია, სადაც მოხუცების მონაცემები იყო და თუ რომელიმე მათგანი ჩვენთან შემოვიდოდა, ჩემს ძმას ვეუბნებოდი. სულ ეს იყო, რასაც ვაკეთებდი და ახლა თუ ორი ადამიანის მკვლელობა გინდათ „შემტენოთ“, არაფერი გამოგივათ. პირველი შემთხვევის დროს არ მახსოვს, სად ვიყავი, მაგრამ მეორე შემთხვევის დროს, ექიმთან ერთად, საოპერაციოში გახლდით და მხოლოდ იქიდან გამოსვლის შემდეგ გავიგეთ, რომ მოხუცი კიბეებზე დაგორდა. რა გამოდის? პირველი მოხუცი მე დავაგორე და მეორე – არა?“ – განაცხადა ექთანმა, თუმცა მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები მაინც იყო – არავის ჰქონდა უფლება, ავადმყოფობის ისტორია მესამე პირისთვის ეჩვენებინა, თუმცა ორი მოხუცის გარდაცვალებას ეს ნათელს ვერ ჰფენდა.

ფირმაში მისულ სამართალდამცავებს ახალი არაფერი ელოდათ – ხელმძღვანელებს საჭირო ხალხი მოქრთამული ჰყავდათ და თამამად იქცეოდნენ, მეტიც, დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ პასუხს არავინ მოსთხოვდა. მოხუცების გარდაცვალებასთან კი კავშირი კატეგორიულად უარყვეს, ყველაზე ცოტა, თვეში ერთი ბინა გვრჩება და საკმარისზე მეტიაო. გადაამოწმეს და მართლაც, ფირმას არ ჰქონდა ურიგო შემოსავალი და აუტკივარი თავის ატკიება არაფერში სჭირდებოდათ, მაგრამ სიხარბეს ხომ საზღვარი არ აქვს და იქნებ...

„თუნდაც ის ორი მოხუცი ავიღოთ – ისეთ ასაკში იყვნენ, ოპერაციას ან გადაიტანდნენ, ან – ვერა. ჩვენ რომ არ მოგვეკლა, ექიმს ვეტყოდით, რომ ოპერაცია სათანადოდ არ ჩაეტარებინა, ფულს მივცემდით და ერთი-ორი თუ არ დაგვთანხმდებოდა, მესამე-მეოთხეს დავითანხმებდით. ამიტომ, სულ ტყუილად ცდილობთ, კიბეზე მათი დაგორება ჩვენ „შეგვტენოთ“. ეგებ, მართლაც თავისით დაგორდნენ? თანაც, მეორე შემთხვევაში, ცოლიც ავადმყოფია და მალე გარდაიცვლება, მაგრამ პირველი მოხუცის შემთხვევაში, ცოლი ჯანზეა, იმ ბინაში კიდევ 8-10 წელი ისე იცხოვრებს, როგორც დაგიბარებია. ჩვენთვის ეს, უბრალოდ, გრძელვადიანი ბიზნესია, თან ცოტა გვეხარჯება და გვერწმუნეთ, მოთმინების უნარი გვაქვს. ვკლავთ ქმრებს და ცოცხალს ვტოვებთ ცოლებს? აზრი? ბინა ხომ მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი, როცა ორივე გარდაიცვლება“, – ამბობდა ფირმის წარმომადგენელი და თავხედური განცხადების მიუხედავად, აშკარად მართალი იყო. სამართალდამცავები უიმედოდ შლიდნენ ხელებს, მათ რეალურად არაფერი ჰქონდათ, ვერსიაც კი არ გააჩნდათ, ვის შეიძლებოდა ჰქონოდა ინტერესი, მოხუცები მოეკლა. მათ არც მემკვიდრეები ჰყავდათ, არც – მტრები... განყოფილებაში საავადმყოფოდან დარეკეს – მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს, რადგან მან მესამე პაციენტის მოკვლა სცადა, უფრო სწორად, ბალიშით გაგუდვა, მაგრამ შემთხვევით, ექთანმა შეუსწრო. დაკავებული იმავე კლინიკაში... დამლაგებლად მუშაობდა.

„ჩემი შვილი კვდება. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, 27 წლის ბიჭი. ვის აღარ ვთხოვე, აქ ვმუშაობ და ყველა შევაწუხე, მაგრამ რიგი არ უწევსო. მარტო გავზარდე, წვალებით, ხელში მაკვდება. ამათ კიდევ, ვიღაც მოხუცები მოჰყავთ და ოპერაციებს უკეთებენ. ჩემი შვილის რიგი ორ თვეში მოდიოდა, ორი თვე კი ვერ გაძლებდა. გამოსავლად ეს მოვიფიქრე, კიბიდან ვაგორებდი მათ, ვისაც ისედაც ცოტა ჰქონდა დარჩენილი. ოღონდ, მხოლოდ მოხუცებს, თორემ აგერ, ახალგაზრდა გოგონამ გაიკეთა ოპერაცია და ხელი არ მიხლია“, – ასე იმართლა თავი დაკავებულმა.

სამართალდამცავებს სხვა გზა არ ჰქონდათ, ორი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული ქალი დააკავეს, საავადმყოფომ კი პირობა დადო, რომ ბიჭს ოპერაციას გაუკეთებდნენ და ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა, თუმცა სასამართლომ ქალს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მას შვილი თავისუფლებაზე აღარასოდეს უნახავს – დამლაგებელი ციხეში გარდაიცვალა. ის ფირმები კი, რომლებიც მოხუცების ხარჯზე ბინებს ისაკუთრებდნენ, კარგა ხანს არსებობდნენ და მეტიც, რამდენიმე მათგანმა ბინაზე პრეტენზია 2000-იანი წლების დასაწყისშიც კი განაცხადა, აქაოდა, 90-იანებში, კონტრაქტი იყო გაფორმებულიო.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, სუროგაცია ყველაზე რთული, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ერთადერთი გზაა უშვილობის პრობლემის მოსაგვარებლად. ცოლ-ქმრის თითქმის 100%-ს სურვილი აქვს, საკუთარი პატარა (პატარები) ჰყავდეს და თუ რომელიმეს პრობლემა აქვს, იწყება ხანგრძლივი მკურნალობის პროცესი, ნერვების გლეჯა და დაუძლეველი სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე, ოჯახს ახალი წევრი შეემატოს. თითქმის 100%-ს იმიტომ ვამბობ, რომ პირადად ვიცნობ ორ ოჯახს (ორივე ახლადშექმნილია), რომლებიც შვილის ყოლას არ აპირებენ ანუ ისინი ფიქრობენ, რომ უნდა იცხოვრონ საკუთარი თავისთვის, მიიღონ ამ ცხოვრებისგან ყველაფერი და დააგროვონ იმდენი კაპიტალი, რომ სიბერეში, სადმე, მოხუცთა კარგ თავშესაფარში გაატარონ უკანასკნელი დღეები. სიმართლე გითხრათ, ასეთი მიდგომის აზრსა და მიზეზს ვერ ვხვდები და ვერ ჩავწვდი, მაგრამ... კაცია და გუნება.

უშვილო ცოლ-ქმრის სისხლიანი ტრაგედია

როგორ გახდა სუროგატი დედა კრიმინალი

სუროგაციის მიმართულებით, არცთუ დიდი ხნის წინ, გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. ამ ამბავს დიდი აჟიოტაჟიც მოჰყვა, მაგრამ მალევე ჩაცხრა. სავარაუდოდ, ახალი რეგულაციები ძალაში მალე შევა, თუმცა წლების განმავლობაში, ეს სფერო თითქოს მიშვებული და უკონტროლო იყო. ადგილბრივების გარდა, „ქართული სუროგაციის სერვისით“ უცხოელებიც ხშირად სარგებლობდნენ და სწორედ სუროგატი დედის მიერ გაჩენილი არაერთი ათეული ბავშვია საქართველოდან საზღვარგარეთ წაყვანილი. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ჩვენს დედაქალაქში არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა და იმდენად საინტერესო საქმე იყო, გამომძიებლები დღესაც ინტერესით იხსენებენ.

ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა. მანქანა მოცურდა, გზიდან გადავიდა და ხეს შემოეხვია. მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, უკანა სავარძელზე მყოფი ქალი კი სასწრაფო დახმარების მანქანამ, უგონო მდგომარეობაში, საავადმყოფოში წაიყვანა. საბუთებით გარდაცვლილის ვინაობა დადგინდა, მანქანა მისი საკუთრება იყო, დაზარალებული ქალბატონი – მისი მეუღლე. ქალის მდგომარეობა უმძიმესი გახლდათ და გადაუდებელი პროცედურები უტარდებოდა, თანაც უკვე მედპერსონალმაც იცოდა, რომ საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო და არაფერს იშურებდნენ. საპატრულო პოლიციამ საქმე დაასრულა, მაგრამ მოულოდნელად, საავადმყოფოდან განყოფილებაში დარეკეს, ვიღაც ქალია მოსული, სისულელეებს ამბობს, გვიშველეთ, ლამისაა, თვალები ამოგვთხაროსო. ადგილზე კვლავ საპატრულოს ეკიპაჟი გავიდა და მართლაც ნახეს ქალი, რომელიც ამტკიცებდა, უგონო მდგომარეობაში მყოფი ჩემი შვილია, გარდაცვლილი – ჩემი სიძე, მაგრამ შვილიშვილს მიმალავენ, არ მაძლევენო. როგორც ის ამბობდა, მანქანაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩვილიც, რადგან მისმა შვილმა იმშობიარა და სწორედ სამშობიაროდან მოდიოდა ოჯახი, რა დროსაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა. საპატრულო ეკიპაჟმა ყველგან გადაამოწმა, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ ავტომობილში ჩვილი არ უნახავთ – არც ცოცხალი და არც მკვდარი.

საპატრულო პოლიციაში, შემთხვევის შესახებ, გამვლელმა „ტაქსისტმა“ დარეკა და სწორედ ის იყო პირველი, ვინც ადგილზე მივიდა. ტაქსის მძღოლი დაიბარეს, მკაცრად დაკითხეს, მაგრამ კაცი პირდაღებული იყურებოდა, რა ჩვილი, შინ ექვსი ბავშვი მყავს, ისინი როგორ გამოვკვებო, არ ვიცი და ახლა სხვის შვილს, მით უმეტეს, ნაავარიევი მანქანიდან, რატომ მოვიპარავდიო. რეალურად, მართალიც იყო, ტაქსის მძღოლი ავარიას შემთხვევით შეესწრო და ჩვილი რომ ენახა, სპონტანურად ნამდვილად ვერ გადაწყვეტდა მის მოპარვას, მით უმეტეს, რომ დარეკვიდან 2-3 წუთში, უახლოესი ეკიპაჟი ადგილზე მივიდა, ტაქსის მძღოლი იქ დახვდათ, ერთი საათი კიდევ გააჩერეს, ჩვენება ჩამოართვეს და ამ ერთი საათის განმავლობაში, ჩვილს ტაქსიში ხომ არ დამალავდა? სამაგიეროდ, სამშობიაროში დაადასტურეს, რომ წყვილმა მათი კლინიკიდან ნამდვილად წაიყვანა ჩვილი და ორმა ექთანმა დაადასტურა, უკანა სავარძელზე მჯდომ დედას, პატარა გოგონა კალთაში პირადად ჩავუსვითო. გამოდიოდა, რომ ავარიის ადგილზე, ტაქსის მძღოლამდე, ვიღაც სხვა მივიდა, რომელმაც მხოლოდ ჩვილი მოიპარა და ხელი არ ახლო, მაგალითად, ქალის ბრილიანტის საყურეს, მამაკაცის ხელზე ოქროს უმსხვილეს სამაჯურს... თუმცა, მთავარი სიურპრიზი გამომძიებლებს წინ ელოდათ.

„ქალი თუ ახალი ნამშობიარები იყო, ტრავმის შედეგად, შესაძლებელი გახლდათ შინაგანი სისხლდენა დაწყებოდა, ამიტომ დეტალურად შევამოწმეთ და დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ქალი ახალნამშობიარევი არ არის. მეტიც, მას ბავშვი არასოდეს გაუჩენია და უფრო მეტიც – მისი საშვილოსნოს სტრუქტურის მიხედვით, შვილი არასოდეს ეყოლება“, – ეს სიტყვები გამოძიებას კლინიკის ექიმმა უთხრა და საგონებელში ჩააგდო.

როცა კლინიკის ექიმი ამას ამტკიცებდა, სამშობიაროში ამბობდნენ, რომ მათ ჩვილი სწორედ ცოლ-ქმარს გაატანეს, მაგრამ ქალმა არა სამშობიაროში, არამედ, სახლში გააჩინა, რადგან მისვლა ვერ მოასწრო, თუმცა შემდეგ წაიყვანა სასწრაფომ, 4-5 დღე გააჩერეს და როცა დედა-შვილმა თავი კარგად იგრძნო, შინ გაწერეს. რა თქმა უნდა, ის უნდა შეემოწმებინათ, ხომ არ იყო გართულება მშობიარობის შემდეგ და შეამოწმა კიდეც გინეკოლოგმა, რომელმაც თქვა, რომ ქალს ჩივილები არ ჰქონდა და პრაქტიკულად, არც შეამოწმებინა თავი საფუძვლიანად. იმის გამო, რომ ქალმა კლინიკაში 4-5 დღე გაატარა და ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო, მშვიდად გაწერეს. საინტერესო იყო დედის განცხადებაც, რომელმაც გამოძიებას ფოტოებიც კი წარუდგინა, სადაც მისი შვილი გამობერილი მუცლით პოზირებდა. არადა, დაზარალებული ქალი სხვა ექიმებმაც შეამოწმეს და ყველა ასპროცენტიანი სიზუსტით ამბობდა, რომ მას შვილი არასდროს გაუჩენია და ვერც ვერასდროს გააჩენდა. მაშ, საიდან გაჩნდა ბავშვი და რაც მთავარია, სად გაქრა? ამ კითხვაზე ავარიაში მოყოლილ ქალს უნდა გაეცა პასუხი და ექიმები იმედს იძლეოდნენ, გადარჩება და საუბარსაც შეძლებსო. მართლაც, ქალმა თვალი ორიოდე დღეში გაახილა, კიდევ ორი დღის შემდეგ კი დაკითხვა შესაძლებელი გახდა.

„შვილი რომ არ მეყოლებოდა, ვიცოდი, მაგრამ ქმარს ძალიან ვუყვარდი და მეუბნებოდა, რომ ამ მიზეზით არ გამშორდებოდა, თუმცა აუცილებელი იყო ბავშვი გვყოლოდა, თუმცა არ სურდა, რომ გვეშვილებინა. ასე მოვნახეთ სუროგატი დედა, რომელსაც უზარმაზარი თანხა გადავუხადეთ. საზღვარგარეთ წავედით, ვითომ სამკურნალოდ, არ გვსურდა, ვინმეს გაეგო, რომ ჩემი შვილი არ იქნებოდა, იქიდან კი სპეციალური სამაგრით დავბრუნდი და ყველას ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი. როცა მშობიარობის დრო მოვიდა, ბავშვი, ისევ დიდი ფულის სანაცვლოდ, კერძო კლინიკაში გაჩნდა, მერე ოფიციალურად წავიყვანეთ სხვა კლინიკაში და ვთქვი, რომ ვითომ სახლში ვიმშობიარე. მერე იყო ის ავარია და არაფერი მახსოვს. ბავშვი ავარიის დროს კალთაში მყავდა, ვინ წაიყვანა და რატომ, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ, ეგებ, ასეც სჯობდეს, ქმრის გარეშე, ეგ ბავშვი არაფერში მჭირდება“, – განაცხადა ქალმა და რა თქმა უნდა, ის გოგონაც დაასახელა, ვინც სუროგატ დედობას დათანხმდა.

გოგონას საცხოვრებელ ადგილზე არავინ იყო, მეტიც, ბინა ნაქირავები ჰქონდათ და როგორც „ხაზეიკამ“ თქვა, სავარაუდოდ, გადავიდნენ, რადგან სახლიდან მათი პირადი ნივთებიც წაღებული იყო. ჰო, ნაქირავებში წყვილი ცხოვრობდა, გოგონა და ახალგაზრდა მამაკაცი და „ხაზეიკამ“ როგორც იცოდა, ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ. წყვილზე ძებნა გამოცხადდა და გოგონას მალე მიაგნეს, ის სოფელში დედასთან... ჩვილთან ერთად იყო, ბიჭი კი...

„გნებავთ, გამოუცდელობა დაარქვით, გნებავთ, სისულელე – ჩემმა საქმრომ მაიძულა, რომ ბავშვი გამეჩინა და გაგვეყიდა. მერე ჩვენი შვილები გვეყოლება, მათ მომავალს უზრუნველვჰყოფთო, მაგრამ რეალურად მოგატყუა. როცა ფული მოგვცეს, ის უბრალოდ გაქრა და არ ვიცი, სად არის. რაც შეეხება ბავშვს, როცა გავაჩინე, მაშინვე წამართვეს. ვიცოდი, რომელ სამშობიაროშიც უნდა წაეყვანათ. ფეხზე როგორც კი დავდექი, იმ სამშობიაროსთან ყარაულობა დავიწყე, ველოდებოდი, როდის გამოიყვანდნენ ბავშვს და ვაღიარებ, მსურდა მომეპარა. ზუსტად ვიცოდი, მის მომავალ დედას ბავშვი ქმრის ხათრით სჭირდებოდა და რეალურად, ჩემი შვილი ფეხებზე ეკიდა. მამაკაცმა დამატებით მომცა გარკვეული თანხა და ის თანხა მუდმივად ჯიბეში მედო. როცა გამოწერეს, ტაქსი დავიჭირე და უკან გავყევი, მაინტერესებდა, სად მიიყვანდნენ ბავშვს, რადგან მათ თბილისში რამდენიმე სახლი აქვთ. გზაზე კი ავარია მოხდა, ტაქსი გავაჩერებინე, ჩვილი ავიყვანე და დედასთან წავედი, სანაცვლოდ კი ტაქსის მძღოლს 500 დოლარი მივეცი და ვუთხარი, ეს ამბავი დავიწყე-მეთქი. ჩემი შვილია, არ დავთმობ“, – ამბობდა გოგონა.

ოფიციალურად, გოგონას ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მის გარდა, ბავშვი არავის სჭირდებოდა, სასამართლოზე პროკურატურამ ერთწლიანი პირობითი სასჯელის შუამდგომლობა დააყენა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და ბავშვი იმ ქალს დაუტოვეს, ვინც გააჩინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელის, 1975 წელს დაბადებული, მირიან ჭელიძის გარდაცვალების გამო.

პოლიციის მაიორი, ონის მუნიციპალიტეტში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, იგი სტიქიური უბედურების ზონაში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების ფარგლებში იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს, რა დროსაც შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მირიან ჭელიძის გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და თანამშრომლებს.

გლოვის დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშები დაეშვა

მთავრობის განკარგულებით, კურორტ შოვში, სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, 7 აგვისტო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

გლოვის დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშები დაეშვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები 24-საათიან რეჟიმში აგრძელებენ სტიქიის დროს დაკარგული ადამიანების ძებნა-შველის ღონისძიებას.

თემურ მღებრიშვილი: „სტიქიის ზონაში მობილიზებულია ყველა სახელმწიფო უწყება, როგორც ცოცხალი ძალით, ასევე სპეციალური ტექნიკით“

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა სტიქიის ზონაში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი. როგორც თემურ მღებრიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში მობილიზებულია ყველა სახელმწიფო უწყება, როგორც ცოცხალი ძალით, ასევე სპეციალური ტექნიკითა და საშუალებებით.

მისი თქმით, ძებნა-შველის ღონისძიების ფარგლებში, მაშველების მიერ, ნაპოვნია მოზარდის ცხედარი.

„სტიქიის ზონაში, დილიდან მოხერხდა მოზარდის ცხედრის პოვნა და პროზექტურაში გადასვენება. ამ დროისთვის, აქტიურად მიმდინარეობს ძებნა-შველის ღონისძიებები, ეტაპობრივად ვაფართოებთ პერიმეტრს, აქტიურად მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები. გზის 70% გაყვანილია და სამუშაოები ამ წუთებშიც მიმდინარეობს“, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც სამაშველო ღონისძიებებში ჩართვის სურვილი გამოთქვეს:

„თქვენ იცით, რომ როდესაც პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა სტიქიის ზონაში, ჩატარდა საგანგებო თათბირი, ყველა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ მივიღეთ დავალებები. აქედან გამომდინარე, მობილიზებულია ყველა სახელმწიფო უწყება, როგორც ცოცხალი ძალით, ისე სპეციალური ტექნიკით, თუ სხვა სპეციალური საშუალებებით. კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო, არანაირი საჭიროება დღის წესრიგში არ დგას“, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკში შეხვედრა გამართეს

ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა ბუხრაძე, მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე იმედა მაკასარაშვილი და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი თორნიკე მარსაგიშვილი ესტუმრნენ. სტუმრებმა ბანაკში მყოფ ახალგაზრდებთან, „ემეგობრე პოლიციას" კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზანს მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

სტუმრებმა, 300-მდე ახალგაზრდას, მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე ინფორმაცია მიაწოდეს, თუ რა ასაკიდან და როგორ ხდება მართვის მოწმობის აღება. ინფორმაცია მიეწოდათ საგზაო მოძრაობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე, ტრეფიკინგთან ბრძოლის მეთოდებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. საბანაკე პროგრამა შვიდდღიანია. ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განმავითარებელ, რეკრეაციულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში.

გორში „დილა“ გათენდა, დანარჩენ საქართველოში – უკუნია



ოთხი ქართული კლუბიდან, წლევანდელ ევროთასეულს მხოლოდ ერთი – გორის „დილა“ შემორჩა. გორელებმა უმძიმეს ბრძოლაში პოლტავის „ვორსკლა“ დაამარცხეს და შემდეგ ეტაპზე, კვიპროსული „აპოელი“ ელით, რომლის რიგებში ორი ქართველი – ლაშა დვალი და გიორგი ქვილითაია თამაშობს. მოდით, გორელებზე ცოტა მეტი ვთქვათ, რადგან მათ შემდეგ, საინტერესო მოსაყოლი არც არაფერი გვექნება. უკრაინელი სპეციალისტის, ანატოლი დემჩენკოს ხელში, „დილა“ აშკარად გამართულად თამაშობს და იმ მწირი რესურსით, რაც ამ კლუბს გააჩნია, ეს შედეგი მაქსიმუმის მაქსიმუმია. ღმერთმა არ ქნას და, გორელები „აპოელთან“ რომ დამარცხდნენ, მაინც თავაწეული ივლიან, რადგან მათ გასაკეთებელი გააკეთეს და აუგი არავის დასცდება.

ყაზახურ „აქტობესთან“, შინ, 1:4-ზე წაგებული შეხვედრის შემდეგ, ქუთაისის „ტორპედოს“ სტუმრად შეხვედრის მოტრიალება რომ გაუჭრდებოდა, ცხადი იყო. ამის მიუხედავად, იმერულმა კლუბმა იბრძოლა, რაც შეეძლო, გააკეთა, ყაზახეთში 2:1 მოიგო და ევროთასებს დაემშვიდობა.

თბილისის „დინამო“ – საქართველოს საკულტო გუნდი, ვერ გეტყვით, შეიცვლება თუ არა ოდესმე ქართველი გულშემატკივრის დამოკიდებულება „დინამოს“ მიმართ, მაგრამ ეს არის ის გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავდა საქართველოში, ახლაც ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს და მათი წარმატება თუ წარუმატებლობა, ფანებისთვის ორმაგად სანერვიულოა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, „ასტანასთან“ უსახელოდ გამოვარდნის შემდეგ, დარწმუნებულები ვიყავით, რომ თბილისელები მალტის „ჰამრუნს“ უპრობლემოდ გაივლიდნენ. უპრობლემოდ იმიტომ, რომ ამ გუნდს არ ჰყავს ბოლომდე პროფესიონალი ფეხბურთელი, მალტაზე 450 ათასი ადამიანი ცხოვრობს და მათთვის ფეხბურთი მეოცე თუ არა, მეათეხარისხოვანი ნამდვილად არის. ჰოდა, სწორედ ასეთმა გუნდმა მოგვიგო ერთი კვირის წინ და საპასუხო შეხვედრას მოუთმენლად ველოდით – შური უნდა გვეძია, მაგრამ პირადად ჩვენთვის, ყველაფერი მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე დასრულდა, როცა დედაქალაქელთა თავკაცმა, გიორგი ჭიაბრიშვილმა პირდაპირ განაცხადა, არ არის „დინამო“ იმ სიძლიერის გუნდი, მომავალი მატჩის შედეგზე პროგნოზი გავაკეთოო. გესმით? თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ამბობს, მალტის გუნდს საკუთარ მოედანზე მოვუგებ თუ არა, არ ვიციო...

შეხვედრა ისეთ ტემპში და ისეთი სქემით წარიმართა, „სვარკას“ არც შევადარებთ, იმიტომ, რომ ბევრად სჯობს. ამის მიუხედავად, მალტელებმა გოლის გატანა და მოგება აქაც მოახერხეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. გულშემატკივართა უმრავლესობამ უკვე მერამდენედ ჩაიქნია ხელი, მაგრამ... გვავიწყდება ხოლმე ახალ სეზონამდე და სტადიონზე ისევ მივდივართ. რაც შეეხება მარცხის მიზეზს, ჩვენ რამდენიმე მათგანს ვიტყვით და დანარჩენს, ალბათ, სპეციალისტები ჩამოაყალიბებენ. არ შეიძლება, ფეხბურთელი, რომელიც უბრალოდ ვერ თამაშობს, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში გყავდეს და აძლევდე ყველაფრის უფლებას, არ სთხოვდე ზუსტად იგივეს, რასაც დანარჩენ ფეხბურთელებს სთხოვ და ამას აკეთებდე მხოლოდ იმიტომ, რომ შენ (ანუ გუნდის მთავარ მწვრთნელს) და იმ კონკრეტულ მაროკოელ ფეხბურთელს (იმრან ომარს) ერთი საფეხბურთო აგენტი გყავთ. არ შეიძლება, პიროვნული უთანხმოების გამო, ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიბრწყინა, სათადარიგოთა სკამზე დასვა, არ შეიძლება, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და ვიცე-კაპიტანი გასვლით შეხვედრაში მხოლოდ იმიტომ არ წაჰყვეს გუნდს, რომ თურმე მეტოქეს ხელოვნური საფარი აქვს და ტრავმის მიღების შემთხვევაში, ის ვერ გაიყიდება. ეს ყველაფერი ჩვენ რომ ვიცით, როგორ დავიჯეროთ, რომ არ იცის კლუბის პრეზიდენტმა? იცის და ჩუმად არის? მაშინ, რა აზრი აქვს საქართველოში ფეხბურთზე ნერვიულობას?!

P.S. პირველი ტაიმის მიწურულს, „დინამოს“ თავკაცი და მეტოქე გუნდის ფეხბურთელი მსაჯმა გააძევა. ნამატჩევს თქვეს, მალტელმა ფეხბურთელმა ქართული სამწვრთნელო შტაბის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზა თქვაო და ჭიაბრიშვილმა, თურმე, ვერ აიტანა. მეტი რა შეურაცხყოფა გინდა, მალტის გუნდი სრულ მეორე ტაიმს, ათი კაცით გეთამაშა და გოლი ვერ გაუტანე...

P.P.S. ვერ გეტყვით, ვინ ურჩა, მაგრამ წაგებული მატჩის მეორე დღეს, ჭიაბრიშვილი გადადგა და მასთან ერთად, გუნდიდან მისი სამწვრთნელო შტაბი სრულად წავიდა. ამბობენ, „დინამოს“ ახალი თავკაცი ანდრეს კარასკო იქნებაო და ვნახოთ. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ესპანელი სპეციალისტი „დინამოს“ აკადემიის მთავარი მწვრთნელია და სავარაუდოდ, ახლა მთავარ გუნდში დააწინაურებენ.

მოციგურავეთა ქართული წარმატება და... რუსეთის დუმა კანონს ცვლის



მას შემდეგ, რაც უკრაინაში შეჭრის გამო, რუს სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლა აეკრძალათ, ყველა ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს ნავსაყუდელი. აგერ, საქართველოს ფიგურულ სრიალში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ წყვილად აღიარებულმა გლებ სმოლკინმა და დიანა დევისმა მიმართეს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღეს და პირველ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. სხვათა შორის, დიანა დევისი რუსეთის ნაკრების მწვრთნელის, ეთერ თუთბერიძის ქალიშვილია.

ამერიკაში, ლეიკ პლესიდის ოლიმპიურ ცენტრში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სმოლკინი-დევისის წყვილმა მოკლე პროგარამაში მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა თავისუფალი პროგრამა უნაკლოდ შეასრულეს და ჯამში მოპოვებული ქულებით, ოქროს მედლები მოიპოვეს. მათი წარმატება ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ რუს ჩინოვნიკებს.

„უკვე მზადდება კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სპორტსმენი, რომელიც რუსეთის სახელით გამოდიოდა და შემდეგ სხვა ქვეყანაში წავიდა, ვალდებული იქნება, მასში დახარჯული თანხები აანაზღაუროს. სხვაგვარად, ისე გამოდის, რომ ჩვენ ფულს ვხარჯავთ, სპორტსმენებს ვზრდით, მედლები კი სხვა ქვეყნის ყულაბაში მიდის. მაგალითად, სმოლკინი-დევისის წყვილიც კმარა, რომელთა გაზრდა-განვითარებაში რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციას არაერთი ათასი აქვს დახარჯული, მათ კი, ამერიკაში, ქართული ჰიმნი ააჟღერეს“, – ეს განცხადება რუსეთის დუმის რამდენიმე დეპუტატმა ერთობლივად გაავრცელა და ვარაუდობენ, რომ კანონი დღის სინათლეს უკვე შემოდგომაზე იხილავს.

კვარაცხელიამ ვარჯიში განაახლა, თუმცა...

გასულ კვირას, „ჟირონასთან“ გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში, ხვიჩა კვარაცხელიამ ტრავმა მიიღო და მოედანი შეხვეული მუხლითა და კოჭლობით დატოვა. იტალიური მედია წერდა, რომ ტრავმის გამო, ქართველ გარემარბს, შესაძლოა, სეზონის სტარტი გამოეტოვებინა, თუმცა ხვიჩამ ვარჯიში ნელ-ნელა განაახლა. ნელ-ნელა იმიტომ, რომ ის ჯერ სპორტ-დარბაზში გამოჩნდა, მეორე დღეს სავარჯიშო მოედანზე, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად იძუნძულა, მუხლი არ დაუტვირთია და არც ასი პროცენტით დახარჯულა.

„19 აგვისტოს, სერია A-ს პირველი ტურის შეხვედრა გვაქვს და თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი, მოედანზე ვის გავიყვან. ტრავმა აქვს ოსიმენს, კვარაცხელიას, ლობოტკას, ჟესუსს, ანგისას... ყველა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და ამიტომ, შეშფოთების საბაბი აშკარად გვაქვს“, – განაცხადა „ნაპოლის“ თავკაცმა, რუდი გარსიამ.

მესიმ რამოსის ტრანსფერი დაბლოკა

ლიონელ მესის ამერიკული თავგადასავალი ზღაპარს ჰგავს. „ინტერ მაიამის“ რიგებში გამართულ სამ შეხვედრაში, ლეომ ხუთი გოლი გაიტანა და გუნდი თასის მერვედფინალშიც გაიყვანა. კმაყოფილია მაიამური კლუბის შეფობაც. მით უმეტეს, ლეოს „ინტერ მაიამიში“ „ბარსელონას“ კიდევ ორი ფეხბურთელი – ხორდი ალბა და სერხიო ბუსკეტსიც მიუყვანეს და მათ მოედანზე ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. კლუბი სერხიო რამოსის დამატებასაც ფიქრობდა, მაგრამ...

37 წლის ესპანელი მცველი, მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული კაპიტანი, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“ თამაშობდა და არც თუ ურიგოდ. თუმცა, გუნდში ლუის ენრიკეს დანიშვნის შემდეგ, ის გაუშვეს და ეს გასაკვირიც არაა – ლუის ენრიკე „ბარსას“ თავკაცი გახლდათ და შესაბამისად, ყოფილი მადრიდელი, უბრალოდ, არ უნდა. ჰოდა, რამოსს წინადადებით „ინტერ მაიამიმ“ მიმართა და... მისი ყიდვა მესიმ, ალბამ და ბუსკეტსმა გააპროტესტეს ანუ ყოფილი „რეალელის“ ხილვა კლუბში არც მათ სურთ. არადა, მესი და რამოსი პსჟ-ში ერთად თამაშობდნენ და თითქოს გადასარევი ურთიერთობა ჰქონდათ.

ორმაგი თამაში ხორვატიულად

ხორვატია ევროკავშირის წევრი 2013 წლიდან გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა უერთდება ყველა იმ სანქციას, რომელიც ევროკავშირსა და ამერიკას რუსეთის მიმართ აქვთ დაწესებული. ეხება ეს ეკონომიკურ სფეროს, თუ სხვა რამეს. დასავლეთის სანქციები მოქმედებს ერთ-ერთ უდიდეს რუსულ კომპანია „ლუკოილზეც“, რომელიც სანქცირებულთა სიაში ერთ-ერთი პირველი წერია.

ამის მიუხედავად, საფეხბურთო კლუბმა სპლიტის „ჰაიდუკმა“ სპონსორული ხელშეკრულება სწორედ „ლუკოილთან“ გააფორმა და რუსული კომპანიის წარწერებიანი მაისურების წარმოება უკვე დაწყებულია. ამ სიახლეს არც ადგილობრივი გულშემატკივარი შეხვდა უარყოფითად, აქაოდა, „ლუკოილი“ ჩვენს გუნდს ფინანსურად წელში გამართავსო. ჩუმად არის ფეხბურთის ადგილობრივი ფედერაციაც და დუმს უეფაც. არადა, „ჰაიდუკი“ ხორვატიის ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია, გასულ სეზონში, გუნდმა მეორე ადგილი და შესაბამისად, ვერცხლის მედლები მოიპოვა.

ნინო ზამთარაძე

განსაცდელი

(ნამდვილი ამბავი)

იანვრის მზიანი დღე გათენდა. გამოძახებული ტაქსი დროზე მოვიდა და რკინიგზის სადგურზე წაგვიყვანა. როგორც ყოველთვის, ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მატარებელი ჩამოდგა, ყველამ ვაგონებს მიაშურა. უნდა ავღნიშნო, ეს იყო ძველი ვაგონებისასაგან შეკოწიწებული გრძელი მატარებელი, რომელსაც ვაგონები დანიშნულეისამებრ ეხსნებოდა და ებმებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენც ვაგონს მივაშურეთ, შვილთან და ორ ნათესავ ქალთან ერთად ვიყავი. ჩემი შვილი და ერთი ნათესავი ქალი ჩემზე წინ ავიდნენ. უკან მეორე ნათესავი ქალი მომყვებოდა. მატარებლის კიბეზე ფეხი ავდგი, ხელი სახელურს მოვკიდე და უცებ ეგრეთწოდებული მატარებლის ფართუკი თავზე დამეცა.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ნათესავმა ქალმა იკივლა, ეგონა, მოვკვდი.

ვაგონში შევედით, გატეხილი თავიდან სისხლი ღვრად მიოდა. გავითიშე. როცა აზრზე მოვედი, პირველად კაპლის სუნი ვიგრძენი, მერე – საშინელი თავის ტკივილი. მატარებელი დაიძრა... ჩემმა ახლობლებმა გამცილებელს სთხოვეს, სასწრაფო დახმარება გამოეძახა. გვითხრეს, სასწრაფო რიონში დაგვხვდებაო, თუმცა რიონში არავინ დაგვხვდა. ჩემმა ნათესავმა ანამ გამცილებელს ლაპარაკი გაუბა.

– „ფართუკის“ სახელური რატომ იყო გახსნილი?

– ეს ჩემი ბრალი არ არის, ხალხი ერთმანეთს არ უფრთხილდება – თქვენს წინ ტომრებიანი ქალი ავიდა, მან აჰკრა სახელურს ხელი და გაიხსნა.

– თუ დაინახეთ სახელური გახსნილი იყო, რატომ არ ჩაკეტეთ, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა?

– მე ხალხი გავაფრთხილე, რომ ვაგონს არ „მისეოდა“...

– შეკითხვაზე არ მიპასუხეთ: თუ დაინახეთ, რომ გახსნილი იყო, რატომ არ დაიყვირეთ, სახელური გახსნილია, ხელი არ მოჰკიდოთო?

– არ დამინახავს, თუ გახსნილი იყო...

– ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა?

– ხო, ხდება ხოლმე.

– კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ გამცილებლების დაუდევრობის გამო ადამიანებს თავები უსკდებათ. ყველაფერი თქვენი ბრალია, ამისათვის პასუხს აგებთ.

გამცილებელი ისტერიულად აკივლდა:

– რა, ეს მატარებელი დენიკინისდროინდელი და ჭუჭყიანი რომაა, ჩემი ბრალია? ნახეთ, როგორ გაწკრიალებულია ბათუმის შემადგგენლობა. მგზავრები რატომ არ აპროტესტებთ?

– თქვენ თემა შეცვალეთ, – უთხრა ანამ და კუპეში დაბრუნდა.

ამასობაში მატარებელი ზესტაფონის სადგურში შევიდა, დაპირებული სასწრაფო დახმარებაც მოვიდა – ჭრილობა გამისუფთავეს და შემიხვიეს. ექიმს მოვთხოვე ჩემი მდგომარეობა წერილობით დაედასტურებია. აქტი უნდა შევადგინოთო, განაცხადა ექიმმა. რა აქტი, რის აქტი, – უყვირა მატარებლის უფროსმა და მთელი სასწრაფო დახმარების შემადგენლობა მატარებლიდან კინწისკვრით ჩაყარა.

ყველაფერი ორად მეჩვენებოდა. თავი დამიმძიმდა... გვერდით ნათესავი ქალი მაია მეჯდა, რაღაცებს მელაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ვიგებდი... გამაყუჩებელი დავლიე... ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, მითხრეს, გორში ვართო. მატარებელი ელვისსისწრაფით მიჰქროდა. გონება მოვიკრიბე. ანას ვუთხი, ამათ ეს არ უნდა შერჩეთ, პოლიციას შევატყობინებ-მეთქი, ისიც დამეთანხმა... ტელეფონი ავიღე, პატრულს დავურეკე და მომხდარის შესახებ ვაცნობე.

თბილისში, სადგურის ბაქანზე პატრული და სასწრაფო დახმარების მანქანა დაგვხვდა.სასწრაფოს ექიმმა ჭრილობა გასინჯა და მითხრა, „მიხეილის“ საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთ და ჭრილობა გავკეროთო, თუმცა შემდეგ საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი მითხრეს, რადგან არც ასორმოცდაათი ლარი მქონდა და არც – სადაზღვეო პოლისი. ავუხსენი, ბაბუა დავკრძალე და იქედან მოვდივარ, არ ვმუშაობ, რისი ფული მექნება-მეთქი, მაგრამ...

ამასობაში გამომძიებელიც მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, რას ითხოვთ?

– რკინიგზისაგან მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას.

ასევე, მოვითხოვე, სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ. გამომძიებელმა იმთავითვე განაცხადა, ეს უბედური შემთხვევაა, გამოსაძიებელი არაფერიაო და ასეთი ისტორია მოგვიყვა: ერთი თვის წინ აზერბაიჯანის მოქალაქეს ბაქანზე ფეხი ორმოში ჩაუვარდა და მოიტეხა. რკინიგზას უჩივლა, რატომ იყო დაზიანებული ბაქანიო, მაგრამ რკინიგზის დეპარტამენტის იურისტებმა მითხრეს, არაფერს გადავუხდითო...

მოკლე, გამომძიებელი მარწმუნებდა, რკინიგზის წინააღმდეგ ჩივილს აზრი არ აქვს, არაფერი გამოგივაო. ირგვლივ პოლიციელები მოგროვდნენ, ერთ-ერთმა ჩემსშვილს უთხრა.

– შენ, აქ რა გინდა?

– ეს დედაჩემია.

– მერე, რა ცხვირი ჩამოგიშვია?

– სასაცილოდ მაქვს საქმე?

– ისე, რამდენი წლის ხარ?

– თვრამეტის...

– ბიჭო, შენხელა რომ ვიყავი, ცოლ-შვილი მყავდა, კაცი ვიყავი. შენ კი ქალივით ტირი.

– შენი დედაც...

პოლიციელმა ლუკას ქეჩოშო ხელი წაავლო და ყვირილი დაუწყო, მოგკლავო. მივვარდი, ბავშვი ხელიდან ვერ გამოვგლიჯე. გული წამივიდა. როცა გონზე მოვედი, სახლში ვიყავი.

მეუღლე, მეგობართან ერთად, პოლიციაში წავიდა და, ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ლუკა შინ მოიყვანა. ბავშვს ადამიანის ფერი არ ედო, ერთიანად კანკალებდა, ტუჩები უთრთოდა.

– შვილო, გცემეს?

– არა, მეძინება, თავი დამანებე.

დილით საგამოძიებო განყოფილებაში წავედი. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, დამკითხეს. ეს ფორმალობა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა...

მეორე დღეს პოლიკლინიკაში წავედი და ჭრილობაზე ნაკერები დამადეს.

შემდეგ, სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზაზე მივედი. ჭრილობას დახედეს და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერეს. გული მერეოდა, ლაპარაკის თავიც არ მქონდა.

– რა, ნაკერები დაგადეს ქალი ფეხზე ვეღარ დგახარ და ესაა მსუბუქი დაზიანება? – აღშფოთდა მეზობელი, – ეს ქვეყანა მართლა ჩალითაა დახურული და არაფერი ეშველებაო.

ორი დღე ლუკა საწოლიდან არ ამდგარა, არც ხმას გვცემდა. ვუთხარი, თუ ასე გააგრძელებ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგიყვან-მეთქი. მერე, კეთილი ინება, ადგა და გამოგვიცხადა.

– ინსტიტუტში აღარ ვივლი. მე საქართველოში არ ვიცხოვრებ. გერმანულის მასწავლებელი დამიქირავეთ. ბინა გავყიდოთ და გერმანიაში წავიდეთ!

მე და ჩემი ერთმანეთს მეუღლე გაოგნებულები ვუყურებდით.

– გია, ხომ ხედავ, ბავშვი რა მდგომარეობაშია. მასწავლებელი დავუქირაოთ. რამდენიმე დღეში გადაუვლის.

– კარგიო, დამთანხმდა გია.

ლუკა იმ დღიდან სახლიდან არ გასულა. გერმანულის მასწავლებელი შინ მოდიოდა. ჩემმა შვილმა გარესამყაროსთან კავშირი გაწყვიტა...

ნევროპათოლოგი ი გამოვიძახე, გამსინჯა და მითხრა, ტვინის შერყევა გაქვს, დაწექი, აქეთ-იქეთ ნუ დადიხარო. როცა ჩემი ამბავი მოვუყევი, მომიგო, გადარჩენილხარ. ერთი წლის წინ ეს „ფართუკი“ ხაშურში კაცს დაეცა და მოკლაო.

ათი დღე ვიწექი, ჩემი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მერე, წავედი და თავზე ტომოგრამა გადავიღე. საფეთქელის ქაცვზე ბზარი აღმომაჩნდა. ექიმმა მითხრა, ეს ქაცვი რომ გატეხილიყო, მაშინვე მოკვდებოდი და სანამ ბზარი არ შეხორცდება ტკივილები, რა თქმა უნდა, გექნებაო. სამი თვე თავი მტკიოდა და საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი.

ერთხელაც, ტელეფონზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის გამომძიებელი დამიკავშირდა, მეორე დღეს კი შინ მესტუმრა, რამდენიმე კითხვა დამისვა, რაღაც ფურცლები შეავსო და წავიდა. ერთ თვის შემდეგ დამირეკა და მითხრა, ქუთაისში ჩამოდით, აუცილებელია, რომ საოლქო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა გაიაროთო. წავედი. ტომოგრამის პასუხი და ნერვოპათოლოგის დასკვნა წარვადგინე, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზამ ისევ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერა. რისთვის წავედი ქუთაისში? თყუილად – ფული დავხარჯე, ვიჩხუბე, ვიყვირე, მაგრამ ვინ მომისმინა?

თვენახევრის შემდეგ ჩაატარეს ე.წ. ტექნიკური ექსპერტიზა – შვილთან ერთად მივედი, რკინიგზის დეპოში შევედი, ვხედავ ვაგონს, მაგრამ მაშინვე მივხვდი, ეს არიყო ის ვაგონი, შეფერილობითაც განსხვავდებოდა. ხუთმა ექსპერტმა ვაგონს ე.წ. ექსპერტოზა ჩაუტარა. ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, პასუხი დადებითია.

– დედა, ეს სხვა ვაგონია, ის მწვანე იყო, არა, ვარდისფერი.

– ჰო, ვიცი შვილო.

თვალზე ცრემლი მომადგა და უკან გამოვბრუნდი, კამათს აზრი არ ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, გამომძიებელმა დამირეკა და მკითხა:

– ქალბატონო მარინა, ტექნიკური ექსპერტიზით კმაყოფილი ხართ?

– დამცინით?

– არა, როგორ გეკადრებათ.

– იცით, რას გეტყვით, თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ? რკინიგზას კბილით იმიტომ იცავთ, რომ გადაგიხადეს!

– ამას როგორ დაამტკიცებთ?

– რა დამტკიცება უნდა, ყველაფერი ისედაც ნათელია. მრცხვენია, რომ ამ უსამართლო ქვეყანაში ვცხოვრობ! განათლებით იურისტი ვარ. თქვენ კი გმომძიებელი არ ხართ, მხოლოდ დაკვეთებს ასრულებთ. ეს უზნეობაა.

– ქალბატონო, მარინა, წესიერად ილაპარაკეთ.

– თვენ შეასრულეთ მოვალეობა, სირცხვილია მარიონეტობა.

ამ საუბრის შემდეგ შვიდი თვე გავიდა. არავინ შემომხმიანებია. არც მე შემიწუხებია თავი სასამართლოში სიარულით...

ლუკამ გერმანული ისწავლა... საქართველოდან წასვლა ვერ გადავაფიქრებინეთ... ბინა გავყიდეთ... სული მტკივა, მენანება ჩემი ქვეყნის დატოვება... მალე

ავსტრიაში ვიქნებით. დავბრუნდები კი ოდესმე ჩემს მიწაზე?!

ახალგაზრდობის აბები შექმნეს

ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულები აცხადებენ, რომ ადამიანის გასაახალგაზრდავებელი აბები შექმნეს. „ახალგაზრდობის ტაბლეტები“ ექვს ქიმიურ ნაერთს შეიცავენ, რომლებიც უზრუნველჰყოფენ გამაახალგაზრდავებელ ეფექტს, რაც რამდენიმე წლის განმალობაში გრძელდება. მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს, ექსპერიმენტს ადამიანებზეც გამოსცდიან. სპეციალისტების თქმით, ადამიანის უჯრედებზე ცდები უკვე არაერთხელ ჩატარდა, რამაც შესანიშნავი შედეგი აჩვენა. სწავლულებმა მილიონობით მოლეკულური კომბინაცია გამოსცადეს, რომლებიც უჯრედების დაბერების პროცესს აჩერებენ და იმავდროულად, აახალგაზრდავებენ. მკვლევართა თქმით, ექვსი, ყველაზე ეფექტიანი ნაერთის თავისებურ კოქტეილს ძველი უჯრედების გაახალგაზრდავება ერთ კვირაშიც კი შეუძლია. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მათი გამოგონება საშუალებას მისცემს ადამიანს, არა მხოლოდ გაახალგაზრდავდეს, არამედ, ასაკთან დაკავშირებული დაავადებებისგანაც გათავისუფლდეს. თუმცა, ჯერჯერობით, ეს ეფექტი კვლევებით არ დადასტურებულა.

ბებო ბრძანებას ემორჩილება

იაპონელმა გამომგონებლებმა ახალი ბებო შექმნეს, რომელიც ეწებება და პირიქით, აეძრობა კიდეც, თუკი შესაბამის ბრძანებას მიიღებს. ის შუქის ერთი სიგრძის ტალღის ზემოქმედებით მუშაობს და მეორეს საშუალებით, საკუთარ თვისებას კარგავს. ბებოს ძირითადი ინგრედიენტია კოფეინის მჟავა, რომელსაც შეუძლია, წარმოქმნას და დაშალოს ჯვარედინი ბმულები. იაპონელმა ინჟინრებმა მის საფუძველზე დაამზადეს პოლიმერი, რომელიც საგნებს წყალქვეშაც კი აწებებს. ექსპერიმენტებისას, ბებოს 40-კილოგრამიანი ტვირთიც ააწევინეს – დაკვირვების 72 საათის განმავლობაში, მასზე არავითარი ცვლილება არ შეუნიშნავთ.

კიბოს წინააღმდეგ უნივერსალური წამალი იპოვეს

ამერიკელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მოლეკულა AOH1996 ეფექტიანად ანადგურებს 70-ზე მეტი სახეობის ავთვისებიან უჯრედს, მათ შორის, სარძევე ჯირკვლის, პროსტატის, ტვინის, საკვერცხეების, საშვილოსნოს ყელისა და ფილტვის კიბოს. კვლევის შედეგები, რომლებიც სიმსივნის საწინააღმდეგო უნივერსალური წამლის შექმნას დაედება საფუძვლად, Cell Chemical Biology-ში გამოქვეყნდა. მოლეკულა AOH1996 მიმართულია ცილა PCNA-ის მუტირებული ფორმის წინააღმდეგ, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს სიმსივნური წარმონაქმნების უმრავლესი სახეობის დნმ-ის გაორმაგებაში და მათი ზრდისთვის აუცილებელია. ახალი პრეპარატი ეფექტიანი აღმოჩნდა 70-ზე მეტის სახეობის კიბოს უჯრედების წინააღმდეგ.

ექსპერიმენტები ლოს-ანჯელესის კლინიკა ჟity of Hope-ის ლაბორატორიაში ჩატარდა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი ონკოლოგიური ცენტრია. ახალი პრეპარატი სიმსივნური უჯრედების დაპროგრამებულ სიკვდილს (აპოპტოზს) იწვევდა. მოლეკულა ამორჩევით კლავდა უჯრედებს და არ აზიანებდა ჯანმრთელ ქსოვილებს. ექპერიმენტმა აჩვენა, რომ წამალი კიბოს უჯრედებს უფრო აღქმადს ხდის ქიმიოთერაპიული პრეპარატების მიმართ. ამიტომ, შესაძლოა, მოლეკულა გამოიყენონ მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად, მათი ტოქსიკურობის შესამცირებლად.

იაპონელები სიცხეს ებრძვიან

სიცხესთან საბრძოლველად ყველა საშუალება კარგია. ამომავალი მზის ქვეყანაში, გამოფენაზე წარადგინეს ის მოწყობილობები, რომლებიც ადამიანებს ჰაერის მაღალ ტემპერატურასთან გამკლავებაში დაეხმარება. სპეციალისტები მსურველებს გაგრილებას სთავაზობენ კისრის მინი-მაცივრებით, ჟილეტებით – წყლის გამაციებლით და კაბებით, რომლებშიც ვენტილატორებია ჩამონტაჟებული. იაპონელმა გამომგონებლებმა მოიფიქრეს, ასევე, სპეციალური „კენგურუები“ ჩვილებისთვის და ყინული სუსპენზიის სახით, რომლის დალევაც შეიძლება. ამ მოწყობილობებმა დიდი ინტერესი გამოიწვია გამოფენის დამთვალიერებლებში. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ექსტრემალური სიცხეა და ადამიანები მზად არიან, გასაგრილებლად არასტანდარტული გადაწყვეტილებები მიიღონ.

ჰოკიონგისა და აინშტაინს აჯობა

დიდ ბრიტანეთში მცხოვრები 11 წლის ბიჭუნას, ადრიან ლის IQ-მ სივენ ჰოკიონგისა და ალბერტ აინშტაინის მაჩვენებლებს აჯობა და ადამიანთა იმ 1%-ში მოხვდა, რომელთაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი IQ აქვთ. ცნობილია, რომ გარდაცვლილ სწავლულთა ინტელექტის კოეფიციენტი 160 ქულაა, ამ სასწაული ბიჭის Mensa-ს ტესტის შედეგებმა კი 162 ქულა დაიმსახურა. ადრიანის დედა, რეიჩელი ამბობს, რომ ბიჭს გამორჩეული უნარები ადრეული ბავშვობიდან ეტყობოდა. ის ორი წლიდან კითხულობდა წიგნებს და დღემდე გატაცებულია ამ საქმიანობით. რვა წლისამ, რომანების წერა დაიწყო სათავგადასავლო ისტორიებით, რომელსაც Monster Quest-ის სერია დაარქვა, ახლა კი რომანს წერს მოზარდებისთვის ძველ რომზე, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდება. ბიჭმა სკოლაში უკვე რამდენიმე აკადემიური ჯილდო მიიღო, უყვარს ტესტებისა და გამოცდების წერა. შემოდგომაზე, დედოფალ ელისაბედის სახელობის ბარნეტის სკოლაში ჩაბარებას აპირებს, სადაც მასავით ნიჭიერ ბავშვებს შეხვდება. ადრიანის ოცნება კარდიოლოგობაა, სურს, სამედიცინო განათლება კემბრიჯში მიიღოს და მსოფლიოში საუკეთესო ექიმი გახდეს.

XIX საუკუნის „უკანასკნელი მოჰიკანი“ გარდაიცვალა

ბრაზილიაში, 127 წლის ჟოზე პაულინუ გომესი გარდაიცვალა. ის 1895 წლის 4 აგვისტოს დაიბადა და უკანასკნელი ადამიანი იყო მსოფლიოში, რომელიც XIX საუკუნეში დაიბადა. გინესის ოფიციალური რეკორდსმენი, ესპანელი მარია მორერა კი ახლა 115 წლისაა და ის უკვე მე-20 საუკუნის შვილია. აღსანიშნავია, რომ გომესის დაბადების მოწმობა არ შემონახულა, თუმცა მის მშობლიურ ქალაქ პედრა-ბონიტას მუნიციპალიტეტის არქივში ინახება ჟოზეს ქორწინების მოწმობა, რომელიც 1917 წლით თარიღდება და რომელშიც ნათქვანმია, რომ სიძე 22 წლისაა. ბრაზილიელი მამაკაცი მთელი ცხოვრება ფერმაში მუშაობდა, ცხენით დადიოდა და დროს სუფთა ჰაერზე ატარებდა. საკუთარ დაბადების დღემდე, გომესს მხოლოდ ერთი კვირა აშორებდა, როცა ის გარდაიცვალა. მას 7 შვილი, 25 შვილიშვილი, 42 შვილთაშვილი და 11 შვილთაშვილის შვილი დარჩა.

კლიმატური თავშესაფრები გახსნეს

ექსტრემალური სიცხეა ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებშია. საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა ფილადელფიაში, სადაც პაპანაქებაში, ხალხი თავს ხეების ჩრდილს აფარებენ, ან შადრევნებში გრილდებიან. ხელისუფლებამ სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებში, ეგრეთ წოდებული, კლიმატური თავშესაფრები გახსნა. სხვათა შორის, სიცხისგან თავდასაღწევი და გასაგრილებელი ადგილები ნიუ-იორკშიც შექმნეს.

თეატრი ოთხფეხა მეგობრებისთვის

კუნძულ მალტაზე, ძაღლებისთვის თეატრი გაიხსნა და ისტორიაში პირველი, სპეციალური წარმოდგენაც შედგა ცხოველებისთვის. რეჟისორებმა და მსახიობებმა დადგეს სპექტაკლი, რომელიც ორ ძაღლსა და მათ პატრონებს ეხება. დადგმის მიმდინარეობისას, ძაღლებს მათთვის ნაცნობი ხმები ესმოდათ – მეგობრული ყეფა, ბავშვების ხმები, წყნარი პერკუსია – ისინი ცხოველებში პოზიტიურ რეაქციას იწვევენ და აგრესიისკენ არ უბიძგებენ. სპექტაკლზე მაყურებლები ორ მეტრამდე საბელით უნდა მიეყვანათ. პატრონებს თან მათთვის საკვები, წყალი და სპეციალური, დასასუფთავებელი პაკეტი უნდა ჰქონოდათ. სპექტაკლის მიმდინარეობისას, თეატრში მომთვინიერებლები და მედიკოსები მორიგეობდნენ.

სალაპარკო ადგილები ხანდაზმულებთან

ესპანეთის დედაქალაქის მეტროსა და ავტობუსებში, სპეციალური ადგილები გამოჰყვეს ხანდაზმულებისთვის, რომელთაც სურთ, მგზავრობისას ვინმეს დაელაპარაკონ. ასე გადაწყვიტეს მადრიდში, დაეხმარონ მარტოხელა მგზავრებს, რომლებიც ურთიერთობების ნაკლებობას განიცდიან. სასაუბრო ადგილები იასამნისფერი სტიკერებითაა მონიშნული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ, მოხუცებს გვერდით მიუსხდნენ, დაელაპარაკონ, ან უბრალოდ, მოუსმინონ მათ. აღსანიშნავია, რომ ესპანეთში 80-ს გადაცილებული 850 000 მარტოხელაა და მათ უმრავლესობას, ამის გამო, ფსიქიკური პრობლემები ექმნება.

მილიონი მზესუმზირა საყვარელ ადამიანს

საყვარელ ადამიანს, ქორწინების 50 წლისთავზე, ამერიკელმა ფერმერმა მილიონი ალისფერი ვარდის ნაცვლად, მილიონი მზესუმზირა „მიართვა“. კანზასის შტატში მცხოვრებმა მამაკაცმა ასეთი უჩვეულო საჩუქარი გაუკეთა საყვარელ მეუღლეს, რომელმაც 1 200 000 მზესუმზირა მოიყვანა. „ოქროს ქორწილისთვის“ ამ სიურპრიზის მომზადებაში ფერმერს მისი შვილებიც ეხმარებოდნენ. შედეგად, ასეთი საჩუქარი არა მხოლოდ მისი ცოლის აღფრთოვანების საგანი გახდა, არამედ, უცხო ადამიანებიც მოიხიბლნენ. ფერმერის მზესუმზირების მილიონიან „თაიგულს“ მნახველები არ აკლია – ფოტოების გადასაღებად, იქ მეზობელი შტატებიდანაც ჩადიან.

ზეითუნის ზეთი დემენციას ებრძვის

ზეითუნის ზეთის მოხმარებამ დემენციისას, შესაძლოა, სიცოცხლე 28%-ით გაახანგრძლივოს. ასეთ დასკვნას ამერიკელი სწავლულები აკეთებენ. მათი კვლევა საკმაოდ ხანგრძლივი – 30-წლიანი იყო და მასში 90 000 ადამიანი მონაწილეობდა. სასურველი ეფექტის მისაღებად, დღის განმავლობაში, თითქმის ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთის მიღებაა საჭირო. მისი ზემოქმედება კი ზეთში დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტების არსებობით აიხსნება. მას შეუძლია, გადალახოს ჰემატოენცეფალური ბარიერი, ანუ პირდაპირ თავის ტვინზე მოახდინოს გავლენა.

აეროპორტში – ჩემოდნების გარეშე

ფრანგული ავიაკომპანია Air France საკუთარ მგზავრებს სთავაზობს, პარიზიდან გაფრენისას, ბარგი აეროპორტში თავად არ მიიტანონ. შეუძლიათ, დედაქალაქში, ან მის შემოგარენში, თვითმფრინავის გაფრენამდე 3-4 საათით ადრე ჩააბარონ. ერთი ჩემოდნის ფასი 25 ევროა, ორის – 35 ევრო. დღეისთვის ეს მომსახურება პარიზის ხუთ სასტუმროსა და მსხვილ სავაჭრო ცენტრშია ხელმისაწვდომი, თუმცა ავიაკომპანია მუშაობს იმაზე, რომ ბარგის ჩაბარება პირდაპირ სახლშივე შეძლოს მგზავრმა. სერვისით სარგებლობა შეუძლიათ იმ მოგზაურებს, რომლებიც შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტიდან გაფრინდებიან. ავიაკომპანიას ამ საქმეში სტარტაპი – Alltheway ეხმარება. მისი თანამშრომლები წაიღებენ ბარგს დედაქალაქის ნებისმიერი წერტილიდან და მას აეროპორტში, სარეგისტრაციო დახლებამდე მიიტანენ. ვინც ამ სერვისით ისარგებლებს, საკუთარი ბარგის გაკონტროლებას ავიაკომპანიის მობილური აპლიკაციით შეძლებს.

ᲒᲝᲚᲤᲡᲢᲠᲘᲛᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲥᲠᲝᲑᲐ ᲔᲚᲘᲡ?



დანიელი სწავლულები ირწმუნებიან, რომ 2025-დან 2095 წლამდე, ატლანტიკის ოკეანეში მდებარე გოლფსტრიმის დინება, შესაძლოა, სრულიად გაქრეს, რადგან ის მართავს კლიმატს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო, შესაძლოა, კლიმატური ქაოსიც კი დაიწყოს. გოლფსტრიმის დინებას ტროპიკებიდან ჩრდილოეთით თბილი წყლები გადააქვს და პირიქით – ჩრდილოეთიდან ტროპიკებში გადმოაქვს. დინების გაქრობა ტემპერატურის მკვეთრ დაცემას, ეკოსისტემების კვდომასა და მთელ პლანეტაზე შტორმებს გამოიწვევს. მოსალოდნელი გარდამტეხი მომენტი, შეიძლება, ნავარაუდევზე უფრო სწრაფად დადგეს, რადგან ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ატმოსფეროს დაბინძურებას სასათბურე აირებით, – აცხადებენ სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ ამ სამეცნიერო ნაშრომს რამდენიმე შეზღუდვაც აქვს – სინამდვილეში, შესაძლოა, ყველაფერი არც ისე საშინელი იყოს, როგორც სწავლულები ვარაუდობენ.

ხავსის ექსკურსიებს აწყობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, ბოლო პერიოდში, სულ უფრო მეტი ადამიანი გაიტაცა საკმაოდ უჩვეულო საქმიანობამ – თემატურ ექსკურსიებზე, ხავსზე დაკვირვებამ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიებების მონაწილეთა უმრავლესობა მანდილოსანია. ლინზებით შეიარაღებულები, ისინი აკვირდებიან ჯადოსნურ მწვანე ხალიჩას და ქალაქის ხმაურიან, სტრესით სავსე ყოველდღიურობას ივიწყებენ. „ხავსის ექსკურსიები“ პოპულარულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. მაგალითად, ორიოდე წლის წინ, სასტუმრო Hoshino Resorts Oirase Keiryu, რომელიც აომორის პრეფექტურაში მდებარეობს, სტუმრებს მდინარის სანაპიროზე, ხავსის კოლონიებზე დაკვირვებას ღამით სთავაზობდა. ასეთივე შესაძლებლობა შირაკომას ტბაზეც აქვთ მსურველებს, ნაგანოს პრეფექტურაში. სტასტისტიკის მიხედვით, მარტო გასულ წელს, ამგვარი ექსკურსიების რაოდენობა, თითქმის, სამჯერ გაიზარდა.

ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲠᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲨᲘ?

დამკრძალავი ბიუროები მექსიკაში, სალვადორსა და მთელ ლათინურ ამერიკაში აცხადებენ, რომ მას შემდეგ, რაც ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ბარბი“, საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნა კაშკაშა, ვარდისფერ კუბოებზე. ზოგიერთი ბიურო კლიენტებს სთავაზობს კუბოს – „ბარბის სახლი“, სლოგანით: „ბარბის მსგავსად რომ დაისვენოთ“. ეს ვარდისფერი სასახლე იმ დაუვიწყარი მომენტების განსახიერებაა, რაც მათ ცხოვრებაში განიცადეს. ეს იმის შეხსენებაა, რომ ჩვენი ისტორიები იმსახურებენ, გვახსოვდეს ასე კაშკაშად და ლამაზად, – ნათქვამია კუბოს სარეკლამო რგოლში. სალვადორის დამკრძალავი ბიუროების ნაწილმა ამ სფეროში საკუთარი სტილი და ტენდენცია წარადგინა – მათი განცხადებით, ვარდისფერი კუბოების მიმართ ინტერესი უპრეცედენტოდ დიდია. ვიდეორგოლები „ტიკტოკზეც“ ვირუსულად გავრცელდა.

ᲪᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ

ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ცოლის დიდი შემოსავალი არ ანგრევს ოჯახს, როგორც ამას აქამდე გვიმტკიცებდნენ, პირიქით, ეს ფაქტი ამცირებს წყვილის დაშორების რისკს. ამ სფეროში არსებული კანონზომიერება ასეთია: თუკი ცოლის ხელფასი 20%-ით აღემატება ქმრის შემოსავალს, მათი დაშორების ალბათობა 80%-ით მცირდება. ასეთი ციფრები გამოიყვანეს საკითხის შესწავლისას, რომლის დროსაც სპეციალისტები ოთხი ათასი ოჯახური წყვილის ურთიერთობას აკვირდებოდნენ. რაც უფრო მაღალი იყო ცოლის ხელფასი, მით უფრო მტკიცე აღმოჩნდა ქორწინება. შესაძლოა, ქალბატონების მაღალი შემოსავალი კაცებს მათთან დაშორების სურვილს უქრობს, – ვარაუდობენ ექსპერტები. ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ, საკუთარი სურვილის მიხედვით კი არა, აუცილებლობის გამო მუშაობენ. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მათგან 30%-ზე მეტს დიასახლისობა სურდა, ყოველი ათი ქალიდან კი ექვსი – არასრულ სამუშაო დღეს არჩევდა.

ყველაზე დიდ მარგალიტს სახლში ინახავდა

ფილიპინელი მეთევზე 15 წელზე მეტხანს იყო მსოფლიოში, ყველაზე დიდი მარგალიტის მფლობელი, რომელიც 100 მილიონ დოლარადაა შეფასებული. როგორც ერთ-ერთი ჩინური გამოცემა წერს, 2006 წლის დასაწყისში, მამაკაცმა 34-კილოგრამიანი მარგალიტიანი ნიჟარა იპოვა შტორმის დროს, კუნძულ პალავანის სანაპიროზე. ნაპოვნის ღირებულების შეფასება მეთევზემ ვერ შეძლო და გადაწყვიტა, თავის ქოხში შეენახა, როგორც „წარმატების სიმბოლო“. მას შემდეგ, რაც მეთევზის სახლი დაიწვა, მის აღდგენაში მეზობლები ეხმარებოდნენ, რომელთაც შემთხვევით, ეს იშვიათი მარგალიტი იპოვეს. მამაკაცმა საკუთარი „თილისმა“ ქალაქ პუერტო-პრინსეს ხელისუფლებას გადასცა. აქამდე, მსოფლიოში ყველაზე დიდ მარგალიტად „ალაჰის მარგალიტი“ ითვლებოდა, რომლის წონაც 6.4 კილოგრამია და 35 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ცნობისმოყვარეობა სასარგებლო ყოფილა

ვისკონსინის უნივერსიტეტის სწავლულებმა განაცხადეს, რომ ცნობისმოყვარეობა დადებით გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე და მათ წარმატებისკენ უბიძგებს. ამერიკელ მკვლევართა თქმით, უმრავლეს შემთხვევაში, ცნობისმოყვარეობის წყალობით, ადამიანები სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. სპეციალისტებმა საინტერესო კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 200-მდე მოხალისე მონაწილეობდა. მათ ორიდან ერთი სახეობის ტკბილეული უნდა ამოერჩიათ: შოკოლადის ორცხობილა შაქრის პუდრით, ან ჩვეულებრივი ნამცხვარი, რომელშიც წინასწარმეტყველების ფურცელი იყო ჩადებული. ექსპერიმენტში მონაწილეთა 72%-მა მეორე ვარიანტი აირჩია. ცნობისმოყვარეობა რომ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, ეს სწავლულებმა კარგად იცოდნენ, მაგრამ მხოლოდ ახლა შეძლეს იმის დადგენა, ხასიათის ეს თვისება რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს. ცნობისმოყვარე ადამიანი ყოველთვის ცდილობს, მიიღოს ახალი ინფორმაცია და არც საკუთარ განზრახვას გადაუხვევს – მისთვის საინტერესო საკითხს ბოლომდე გაარკვევს.

მეხსიერებას ფქვილი გაგიუმჯობესებთ

ფქვილის ახალი სახეობა, რომელიც ინდონეზიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს, ხანდაზმულ ადამიანებს მეხსიერების გაუმჯობესებაში დაეხმარება. იგი დამზადებულია ტემპეს – სოიოს მარცვლების ფერმენტირებული პროდუქტისგან და დიდი რაოდენობით ფიტოესტროგენსა და B ჯგუფის ვიტამინს შეიცავს. მანამდე, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ვიტამინების ეს ნაერთი საგრძნობლად აუმჯობესებს მეხსიერებას. მკვლევარები ამბობენ, რომ სოიოს ეს ფქვილი შეიძლება გამოვიყენოთ საჭმელში, ან უბრალოდ, გავხსნათ წყალში და ისე მივირთვათ.

ვიტამინები სიზმრებს უფრო ცხადს ხდიან

სწავლულები „მწვანე კონტინენტიდან“ ამტკიცებენ, რომ ძილის წინ, ვიტამინების მიღება ადამიანს სიზმრების „HD-ფორმატში“ ნახვის საშუალებას აძლევს. მკვლევარები შეეცადნენ, ამ მხრივ, „ბე-6“ ვიტამინის გავლენა შეესწავლათ სიზმარზე, კონკრეტულად კი, მის სიცხადეზე. ექსპერიმენტში 12 მოხალისე მონაწილეობდა. მათგან ექვსი, ძილის წინ, „ბე-6“ ვიტამინს იღებდა, დანარჩენი ექვსი – ცარიელ კაფსულას. გაღვიძების შემდეგ, კვლევის მონაწილეები საკუთარ სიზმრებსა და შთაბეჭდილებებზე ჰყვებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებიც ძილის წინ, ვიტამინს სვამდნენ, უფრო ცხადად ხედავდნენ სიზმარს. ავსტრალიელი სწავლულები აპირებენ, საკუთარი დასკვნების გასამყარებლად, ექსპერიმენტი უახლოეს მომავალში გაიმეორონ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.